

ლიტერატურული გაზეთი

№23 (303) 10 - 23 დეკემბერი 2021

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკოვით

ფასი 80 თეთრი



რამდენი ფრანგული ფილმი იწყება ასე: ბელმონდო ან ალენ დელონი, მთელი თავისი ფიქრით სხვაგან მყოფი იერით, ანდა ჩემთვის უპირველესი ლინო ვენტურა ან მოლად ჟან გაბენი, პატივი ვცეთ მის ჭაღარას და ფოლადისებრ სიკეთეს, ვინრო დერეფანს მოუყვება უსახურ, უფრო ულვაშიან მცველთან ერთად.

მალევე სხვა სამხრეებიანი კაცები პატარა ოთახში ეგებებიან მას და მოლად გაცრეცილ პირად ნივთებს უბრუნებენ, სამყაროს მიერ დავიწყებულ საათს და რაღაც ასეთებს. ის რაღაც ქაღალდებს აწერს ხელს, უკაცურ შიდა ეზოს გადაკვეთს და მომცრო ქვითარს კიდევ ერთ ულვაშიან მცველს უწვდის. ამას მოსდევს ძველ, მწვანედ ჩამუქებულ ალაყაფში დატანებული კარის ჭრიალი და სასჯელმოსხილი განსაკუთრებული კაცი გარეთ გამოაბიჯებს. შორიახლოს ერთ დროს პენიანი, კარგა ნახმარი მანქანა გაჩერებულა და როგორც კი ნაპატიმრალი იმ კარის ზღურბლს გადმოაბიჯებს, მანქანიდან მძლოლი გადმოხტება და ძველი მეგობრისკენ გაექანება.



თემურ ბაბუნია
უარყოფით პერსონაჟებზე
II-III

VI-VII



ნინო ვახანია
ოთარ ჩხეიძეზე
X

დებიუტი
ალექსანდრე ნარსია
ლექსები
IV-V

დებიუტი
თამარ დულაშვილი
ლექსები
V

დებიუტი
შოთა ვაკუა
ლექსები
VIII

მისო მოსულიშვილი
ლექსები
IX



მარი სადღოპელაშვილი
გოდერძი ჩოხელზე
XI

ნათია სინარულიძე
გალაკტიონზე
XII

ა ი
თარგმნა ანა გოგუაძემ
XIII-XV

გიორგი შერვაშიძე
ბექა ქურხულზე
XVI

ლალი გულიშაშვილი
გიორგი ლობჯანიძეზე
XVI



თემურ გაბუნია

ანტიგმირის პორტრეტი

უარყოფითი პერსონაჟები უცხო არაა მსოფლიო ლიტერატურისთვის, თუმცა XX საუკუნის მწერლობაში გაჩნდა თხზულებები, რომლებშიც არა მხოლოდ ცალკეული პიროვნებები, არამედ მთელი საზოგადოება დეგრადირებული. ტოტალიტარული რეჟიმის ბნელ მხარეებზე საუბრობს ჯორჯ ორუელი რომანში „1984“. „კადნიერებით აღსავსე ბარბაროსული ეპოქის“ დადგომას წინასწარმეტყველებს თომას მანი „დოქტორ ფაუსტუსში“.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რისი თქმა სურდათ მწერლებს, რატომ საუბრობდნენ ანტისაზოგადოების შექმნაზე?

რომანი-გაფრთხილება

ბიბლიურ, მითოლოგიურ, ისტორიულ და ლიტერატურულ თხზულებებში უხვადაა უარყოფითი გმირები. დროთა განმავლობაში ზოგიერთის სახელი მოლაპატის ან ბარბაროსის სინონიმად იქცა. მაგალითად, გამყიდველ ადამიანს იუდას ეუწოდებოდა, ძმისმკვლელს — კაენს, რაღაც მშვენიერის ხელმყოფს — პეროსტრატეს, ავაზაკს — ბარაბას, სამშობლოს მოღალატეს — შადიმანს... პოეზიის მოყვარულთა ესხომებათ აგამემნონის მუხანათი მკვლელები ეგისთე და კლიტემნესტრა, ცილისმწამებელი იაგო, კლაუდიუსი — ჰამლეტის თვითმარქვა ბიძა და სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი პერსონაჟები. თუმცა ის, რაც XX საუკუნის ზოგიერთი ქვეყნის საზოგადოებაში მოხდა, ალბათ ფანტასტიკური ფანტის მწერლებსაც გააოცებდა. სწორედ აღნიშნულ ეპოქაში დაიწყო ფასეულობების რღვევის პროცესი, ნამდვილი ელიტის განადგურება მასობრივი რეპრესიებით და ცრუ გმირების აღზევება. აღნიშნული პროცესი საქართველოსაც შეეხო, მოკლეს ილია, მის ნაცვლად კი განდიდების მანიით შეპყრობილი ჯალათები აღზევდნენ, თავიანთ სახელებს ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ურცხვად რომ არქმევდნენ ქალაქებსა და ქუჩებს. მკითხველს უთუოდ გაახსენდება 37 წლის საბჭოური ყოფა ჯორჯ ორუელის რომანის კითხვისას. თუმცა, როგორც ცნობილი ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი და ფილოსოფოსი ერის ფრომი გვაფრთხილებს წიგნის ამერიკული გამოცემის ბოლოსიტყვაობაში — შეცდომა იქნებოდა, რომანში მხოლოდ სტალინის ეპოქის ბარბაროსობა დაგვენახა და არა საკუთარი თავი, რადგან ორუელი ჩვენც გვგულისხმობდაო. მაინც რაზე

მიგვანიშნებს ფრომი? დასავლეთში ხომ არც რეპრესიები განხორციელებულა და არც ცრუ ელიტა აღუზევებიათ? მამის დამსმენიც არ შეურაცხავთ გმირად პავკა მოროზოვიც. არც ისეთი პრიმიტიული ლექსები ნაუხალისებიათ, როგორც ისინი ბდნენ საბჭოეთში: მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამასო.

რა ჰქონდა მხედველობაში ფრომი? არსებობდა კი რაიმე მსგავსება სოციალისტურ აღმოსავლეთსა და კაპიტალისტურ დასავლეთში მიმდინარე მოვლენებს შორის?

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა გარკვეულ თანამიმდევრობას მოითხოვს. ჯერ ის ეპიზოდები უნდა გავიხსენოთ ორუელის რომანიდან, საბჭოთა ყოფას რომ ეხება, შემდეგ კი გადავიდეთ დასავლეთზე. თურმე ოკეანიაში იშვიათად გამოეროდა ისეთი კვირა, რომ არ დაბეჭდილიყო პრესაში „წერილი რომელიმე პატარა დამსმენზე (ასეთებს, როგორც წესი, „ბავშვ-გმირებს“ უწოდებდნენ), მიყურადებით რომ მოიხელთა რაიმე მაკომპრომეტირებული ფრაზა და მშობლები აზრის პოლიციაში დაასმინა“. რა თქმა უნდა, ორუელი 30-იანი წლების რეპრესიებზე საუბრობს, თანაც უფრო რეალისტურად, ვიდრე რომელიმე საბჭოთა მწერალი თავის რომანებში. საბჭოთა კავშირში ცილისმწამებლური დასმენა ნახალისებული იყო, მეზობელი მეზობელს აბეზღებდა, ნათესავი — ნათესავს, კოლეგა — კოლეგას. ხალხი უკადრებულს კადრულობდა შურისა და პირადი გამორჩენის გამო. ორუელის რომანში შეუფერადებლადაა ასახული ტოტალიტარული კომუნისტური საზოგადოების სიმახინჯეები, რომელთაგანაც ერთ-ერთი ცრუ გმირების შექმნა და მათი მოზადებაა მაღალ

ეიარქიულ საფეხურზე დასამკვიდრებლად. სწორედ ასეთი ადამიანები ხდებოდნენ საბჭოეთში პარტიული ბოსები, კომბინატის დირექტორები, შემოქმედებითი კავშირების გავლენიანი წევრები, რომლებიც მზად იყვნენ, ტიცინ ტაბიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის მსგავსი მწერლები დაესმინათ, პაოლო იაშვილი კი თვითმკვლელობამდე მიეყვანათ. ისტორიას შემორჩა ის საბედისწერო კრება, რომელზეც მწერალთა კავშირის წევრებს აიძულებდნენ ერთმანეთის ცილისმამებასა და „პარტიის მტრების“ მხილებას. 30-იანი წლები იყო ერთგვარი უვერტიურა რაღაც ახალი, კადნიერებით აღსავსე ბარბაროსული ეპოქისთვის, რომლის შესახებაც საუბრობს მანი „დოქტორ ფაუსტუსში“, ორუელი კი — „1984“-ში. ისინი თითქოს გვაფრთხილებენ, რომ საზოგადოება ნახტომისებურად შეიძლება, შეიცვალოს, თუკი შევევებით, დავემონებით ან გარეგნობაში შევალთ ბოროტ ძალასთან; და მაშინ, როგორც ორუელი იტყოდა, ჩვენ შორის ადგილი აღარ დარჩება სიყვარულის, მეგობრობის, თანადგომისა და პიროვნული ტრაგედიისთვის, მხოლოდ „შიში, სიძულვილი და ტყვიანი შეგირება ხელთ“ და არა — „ამაღლებელი გრძობები, სევდა და სინანული“. შემთხვევით არ ცდილობს ანალიტიკური ცენტრი, სიტყვა „მეგობარი“ „ამხანაგი“ ჩანაცვლოს — მეგობრობა ურთიერთსიყვარულსა და თანაგრძობას ნიშნავს, ამხანაგობა კი — ცივ და ფორმალურ ურთიერთობებს. ეგრეთ წოდებულ საბჭოთა ელიტაშიც უხვად იყვნენ სწორსაზოგადოებრივი პრიმიტიული ამხანაგები, ნომენკლატურული „ლომები“, რომლებიც ყველასა და ყველაფერზე მაღლა პარტიასა და მის მიზნებს აყენებდნენ. ორუელის თხრობის რეალისტრობის ნარმოსაჩენად, უმჯობესია, რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენოთ რომანიდან, რომელიც საბჭოთა ყოფის არმცოდნე მკითხველს, შესაძლოა, დისტოპიურადაც მოეჩვენოს. უინსტონი ნანერების დეპარტამენტში მუშაობს, დიდი ძმის ბრძანებულების თანახმად, მას ევალება შექმნას პარტიის მოკრძალებული წევრის ვირტუალური ბიოგრაფია, გაზეთში გადის ნეკროლოგი ვინმე ამხანაგ ოგილივიზე, რომელსაც არასწორს უარსებია. ამხანაგი ოგილივი ექვსი წლის ასაკში „დამსმენთა გაერთიანებაში“ ჩაირიცხა. ცხრა წლისა უკვე ჯგუფის მეთაურია. თერთმეტი წლის ოგილივიმ აზრის პოლიციაში დაასმინა საკუთარი ბიძა, რომლის საუბარშიც ყმანვილმა კრიმინალური ტენდენციები შენიშნა“. ამხანაგი ოგილივი პარტიის სანიმუშო წევრია, ყველამ მაგალითი უნდა აიღოს მისგან.

აღნიშნული ეპიზოდი მეც მწერლის

ფანტაზიის ნაყოფად მომეჩვენებოდა, 80-იან წლებში საქართველოს სასაზღვრო რეგიონის ერთ-ერთ საშუალო სკოლის შენობაში სტუდენტურ რაზმთან ერთად დაბანაკებულს საკუთარი თვალით რომ არ მენახა 8-10 წლის მოსწავლეების რვეულები უცნაური ჩანაწერებით. ბავშვები ასმენდნენ თავიანთ მეგობრებს, პედაგოგებს — ეს ნამდვილი ორუელისეული კარგად ორგანიზებული და სისტემატურად მომუშავე „დამსმენთა გაერთიანება“ იყო. შესაძლოა, მსგავსი რამ მხოლოდ საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში ხდებოდა, თუმცა ნახახმა შემძრა. ხანდახან ვფიქრობდი, რა ბედი უნდა სწეოდათ იმ ბავშვებს, მიხვდნენ კი, როცა ნამოიზარდნენ, რა საზიზღრობასაც ავალბდა პედაგოგი? დადებით პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ თუ პროფესიონალ დამსმენებად? საბჭოეთში ხომ ძირითადად უღირსი პიროვნებები იკეთებდნენ კარიერას, პრესა კი მათ აქებდა „ცხოვრების სინამდისა და გამორჩეულობის“ გამო.

ამრიგად, ორუელის აზრით, ტელევიზიითა და პრესით არათუ ნაძირალასგან, არარსებული პერსონაჟისგანაც შეიძლება, შეიქმნას „გმირი“. გამორჩეული ხელოვანი სცილდება ეპოქის საზღვრებს, ის ერთგვარი ორაკულია, გვაფრთხილებს იმის შესახებ, რაც მომავალში შეიძლება, მოხდეს. დღეს, როცა გარკვეულწილად კარიკატურული პიროვნებებიც არიან ჩართული პოლიტიკაში, უნებლიეთ არა მხოლოდ ორუელის, სერვანტესის პერსონაჟებიც შეიძლება, გაგვახსენდეს. თუნდაც გუბერნატორი სანჩო, რომელსაც ისე აბურთავებენ, როგორც მოესურვებათ. ის ადგილობრივი მმართველის პაროდული სახეა, უფლებო კომიკური გუბერნატორის ვის უკანაც ნამდვილი ძალაუფლების მქონე პიროვნებები დგანან... საგულისხმოა, რომ რეპრესიაცამოვლილი უინსტონიც (რომანის ბოლოს) მორჩილი თოჯინა ხდება დიდი ძმის ხელში, მეტიც, თავისი მწამებელი თითქოს უყვარდება კიდევც.

დაამატებითი შტრიხები

ანტიგმირის პორტრეტს, რომლის შექმნაც დავიწყეთ, უკვე რამდენიმე სახასიათო შტრიხი აქვს: ის უნდა იყოს დამსმენი, პარტიისადმი ფანატიკურად ერთგული და ადვილად მართვადი... თუმცა მხოლოდ ეს თვისებები მარნისტროების დეპარტამენტში დასაქმებულებს იმუნიტეტს ვერ შესძენს, რადგან ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, ისინი ისე გააქრონ, რომ არანაირი კვალი ან ჩანაწერი არ დარჩეს მათ შესახებ (საჯარო რეესტრშიც კი). რეპრესიის ამ ფორმას ოკეანიაში „აორთქლებას“ უწოდებენ.

რა იცავს ადამიანს ასეთი სასტიკი სასჯელისგან? როგორი თანამშრომლება სასურველი ანალიტიკური ცენტრისთვის? მივყვით ორუელისეულ ლოგიკას. ოკეანეილი პიგმალონის გამომძერწილი „გმირი“ ზედაპირული, საქმეში ჩაუხედავი და უნიგნური უნდა იყოს და არა — ღრმად მოაზროვნე, სწორედ ასეთები უქმნიან საფრთხეს პარტიას. უინსტონი გუმანით გრძობს, ვის ააორთქლებენ და ვის — არა. მაგალითად, პარტიისთვის სახიფათოა კვლევით დეპარტამენტში მომუშავე საიმი. ის „მეტი-სმეტად ჭკვიანია, მეტისმეტად კარგად ხედავს, მეტისმეტად კარგად ლაპარაკობს. პარტიას არ უყვარს ასეთი ხალხი. ერთ დღესაც საიმი გაქრება“. უინსტონის აზრით, მოაზროვნებს სხვაგვარი მომავალი არც შეიძლება, ჰქონდეთ. მხოლოდ ზედაპირული ადამიანები არიან დაცულები რეპრესიებისგან, ტყვიამფრქვევივით სწრაფად რომ მეტყველებენ. ასეთ საუბარს (თუ კაკანს) ნიუსპიკში იხმეტყველება უწოდეს.

ადამიანი-რობოტი

ორუელის რომანის კითხვისას ირკვევა, რომ პარტია სამინისტროთა დეპარტამენტებში დასაქმებულთაგან მხოლოდ მონურ მორჩილებასა და ზედაპირულობას არ ითხოვს, პარტიას სჭირდება ხოჭოსეობრი რობოტები „მოკლე ფეხებით, მკვეთრი მოძრაობებითა და მსუქან, შეუღწეველ სახეებში ლილევივით ჩამჯდარი თვალებით“. ადამიანი-რობოტის შექმნისთვის სამი რამაა საჭირო: მეხსიერების ნაშლა, სიყვარულის ჩაკვლა და ოჯახის ინსტიტუტის გაუქმება. მეხსიერების ნაშლა ოკეანიაში

მრავალი მეთოდებით ხდება, თუნდაც ძველი ისტორიული თხზულებების დამახინჯება-გადაკეთებით. ხანდახან უინსტონი ეჭვობს, უკლებლივ ყველა სიტყვა დამახინჯებული ხომ არ არის ისტორიულ ნიგნებში, სიცრუეს ჭეშმარიტებად ხომ არ ასაღებენო. ეს ეჭვი უსაფუძვლო არაა, რადგან თვითონ მუშაობს ნაწარმების დეპარტამენტში და ხშირად უწევს სტატისტიკისა და რეალობის გაყალბებას. ისტორიულ თხზულებებზე „ძალადობა“ მიმდინარეობს არა ერთჯერადად, არამედ მუდმივად. ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული ძველი ნიგნებზე, ისინი ნადგურდება. ოკეანიამი ვერსად ნააწყვედებით 1960 წლამდე გამოცემული ნიგნის ეგ ზემპლარს. თუმცა მხოლოდ ნიგნებს არ ერჩიან, გამუდმებით იცვლება ქუჩების სახელები, მემორიალური დაფები, „ძეგლები, ნარწერები — ყველაფერი, რაც სინათლეს მოჰფენდა წარსულს“. ეკლესიებს კი ანგრევენ ან მიზანმიმართულად უცვლიან ფუნქციას. უნებლიეთ გვახსენდება საბჭოთა კავშირი, საწყის ეტაპზე იქაც აფეთქებდნენ ღვთის სახლებს, უდიდეს ნაწილს კი იყენებდნენ ცხოველთა სადგომებად, კანტორებად, ბიბლიოთეკებად, აბანოებად და ზაგა-ბალებად. ოკეანიამიც ებრძვიან ღვთაებრიობის ნებისმიერ გამოვლინებას, მათ შორის — სიტყვასაც. იოანეს სახარება გვამცნობს, რომ „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ (1, 1). ასე რომ, არც უნდა გაგვიკვირდეს, ღმერთთან მებრძოლთა უპირველესი სამიზნე ლოგოსი რომ გამხდარა. „ჩვენ ვანგრევეთ სიტყვებს, ყოველდღიურად ასობით სიტყვას“ — სიამაყით აღნიშნავს კვლევით დეპარტამენტში მომუშავე საიმი. ოკეანიამი ტელე და საგაზეთო ერთი ადამიანის თავში უდებენ უამრავ ახალშექმნილ სიტყვას. ენას მიზანმიმართულად ამარტივებენ, ხმარებიდან იღებენ ძველ გამოთქმებს, ხოლო სიტყვებს მნიშვნელობას უცვლიან. ეს ყველაფერი ადამიანის გარობობებს ემსახურება. ანალიტიკურ ცენტრს ოჯახის ინსტიტუტის გაუქმება აქვს გამიზნული, რადგან სწორედ მას მიიჩნევენ უმთავრეს დაბრკოლებად რობოტების ახალი სახეობის გამოყვანის საქმეში. ოკეანიამი მოქმედებს ახალგაზრდული ლიგები, „ორივე სქესის სრულ უქორწინებლობას“ რომ ქადაგებენ. ამ ახალგაზრდების აზრით, ხელოვნური განაყოფიერებით გაჩენილი ბავშვები საზოგადოებრივ ინსტიტუტებში უნდა აღიზარდონ.

აი, ასე ცდილობენ ოკეანიამი უსიყვარულო, უმეხსიერებო და ოჯახის გარეშე აღზრდილ ადამიანთა თაობების შექმნას, პარალელურად კი მიმდინარეობს ბრძოლა სიძველეებისა და ეკლესიის წინააღმდეგ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ორუელის რომანს ლაიტმოტივად გასდევს ერთი დაინყებული ლექსის სტრიქონები:

„ლიმონები და ფორთოხლები“ — წმინდა კლიმენტის რეკეზ ზარები,
 „ლიმონები და ფორთოხლები“ — რეკეზ ზარები წმინდა მარტინის...“

უინსტონს აინტერესებს, სადაა ახლა წმინდა მარტინის ეკლესია, ირკვევა, რომ ის თურმე გამარჯვების სკვერში დგას, ოღონდ მუზეუმადაა გადაკეთებული, რომელშიც სხვადასხვა „საპროპაგანდო გამოფენას“ აწყობენ, მაგალითად, სარაკეტო ბომბებისა და მცურავი ციხესიმაგრეების. საგულისხმოა, რომ დასავლეთში დღესაც ქირაობენ ტაძრებს სხვადასხვა მიზნით, ასე რომ, იქ, სადაც დღისით მღვდელი ლოცულობს, საღამოს სხვადასხვა გასართობი ღონისძიებაც შეიძლება, გაიმართოს. ღვთის სახლების მრავალფუნქციური გამოყენება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ქრისტიანობის, არამედ ამერიკაში ესოდენ პოპულარული მოდერნისტული ინდუიზმისა და ბუდიზმის პრინციპს. აი, რა შეხედულება აქვთ, მაგალითად, სვამი ვივკანანდას მიმდევრებსა და მონაფეებს სალოცავთა შესახებ. მათი აზრით, მორწმუნე სახლში ერთი კუთხე ან ოთახი უნდა მოაწყოს ლოცვისა და მედიტაციისთვის. დროთა განმავლობაში იქ მშვიდი აურა დამყარდება. ხანდახან ცუდ განწყობაზე მყოფიც რომ შევიდეს სალოცავ ოთახში, გუნება გამოუკეთდება და სიმშვიდე დაუფლება, რადგან ფიქრსაც აქვს თურმე თავისებური (ტაღლისთვის დამახასიათებელი) სიხშირე და ამპლიტუდა. ადამიანის ფიქრი კი სამგვარია — ვნებიანი, ბნელი და წმინდა. სალოცავებში დროთა განმავლობაში სწორედ

წმინდა (სატყაური) აურა მკვიდრდება, ამის გამო გრძობს სიმშვიდეს იქ შესული ადამიანი, ის იწმინდება ბნელი და ვნებიანი აზრებისგან — რაჯასისა და ტამასისგან. ამიტომაც აზრს მოკლებული ტაძრების გამოყენება საკონცერტო ან საცეკვაო და რბაზებად. შეიძლება, არ იყო ინდუსტი, მაგრამ დაეთანხმო სალოცავი კუთხის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას, რადგან შენობაში, სადაც დილით ღვთისმსახურება ტარდება, საღამოს კი — გასართობი ღონისძიებები, ღვთის მადლი ვერასდროს დაივანებს.

ორაზრის პრინციპი

საბჭოეთში ყველაფერს მოჩვენებითი და კამპანიური ხასიათი ჰქონდა, მათ შორის ბრძოლას ნარკომანიასა და მექრთამეობასთან. არალეგალურად ნაშოვნი ფული დაბალი ემულონებიდან უფრო მაღალში მიედინებოდა და სადაც კრემლში უჩინარდებოდა. თავის საჯარო ლექციაზე აკაკი ბაქრაძემ ერთხელ ასეთი მაგალითი მოიყვანა მექრთამეობასთან დაკავშირებით — თურმე ერთ ბათუმელ პროკურორს იმდენი ფული ეშოვა, რომ სამ თაობას ეყოფოდა, თუმცა მაინც აიძულებდნენ კორუფციულ სქემაში მონაწილეობას. შენ რომ გამოეთიშო, ჯაჭვი განყდება. იმის უფლებაც არ ჰქონდა, განცხადება დაენერა და წასულიყო, რადგან ბევრი იცოდა. ის პერიოდი რაღაცით ჰგავდა ჯორჯ ორუელის რომანში „1984“ აღწერილ ეპოქას. კომპარტია ბევრ სფეროში ორუელისეული doublethink-ის (ორაზრის) პრინციპით მოქმედებდა. თითქოს სასტიკ ბრძოლას უცხადებდა კორუფციას, მაგრამ ფარულად ახალისებდა კიდეც. საბჭოთა კავშირში ნებისმიერი ადამიანის დაპატიმრება შეიძლებოდა: ტაქსის მძღოლის, რომელიც მრიცხველით დაფიქსირებულ თანხაზე მეტს იღებდა; რეპეტიტორის, მოსწავლეებს კერძოდ რომ ასწავლიდა; სამშობიარო სახლების თანამშრომლების, შვილის შექენით გახარებული მშობლებისგან ფულს რომ იღებდნენ; შავ ბაზარზე უცხოური დეფიციტური საქონლითა და წამლებით მოვაჭრე გადაამყიდველებისა და სხვების... საბჭოთა იურისტებმა ამას „უშრომელი შემოსავალი“ შეარქვეს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვიღაც შეგნებულად ახალისებდა არალეგალურ საქმიანობას, ადამიანები ცოდვით რომ შეეკრა და გამუდმებულ შიშსა და ტერორში ჰყოლოდა, რათა პოლიტიკური შეხედულებები არ გამოეთქვათ და ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას არ დაპირისპირებოდნენ.

ერის ფრომი საგანგებოდ განმარტავს სიტყვა doublethink-ის მნიშვნელობას, რომელიც ადამიანის გონებაში ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრების ერთდროულად არსებობას ნიშნავს. ორუელის გამოგონილი სიტყვა უკვე თანამედროვე ლექსიკაში შევიდა, აღნიშნავს მკვლევარი, შემდეგ კი მკითხველს აფრთხილებს, მხოლოდ რუსებსა და ჩინელებს ნუ მივანერთ ორაზრის პრინციპით მოქმედებასო. თავისი მოსაზრების გასამყარებლად მაგალითიც მოჰყავს: ჩვენ თავისუფალ სამყაროდ მოვიპოვეთ არა მხოლოდ შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთს (დემოკრატიულ ქვეყნებს), არამედ სამხრეთ ამერიკის, აფრიკის დიქტატორულ და თუნდაც ფრანკოს ფაშისტურ რეჟიმს, ანუ ყველას, ვინც რუსეთსა და ჩინეთს უპირისპირდებაო. ფრომის აზრით, სწორედ ესაა ორაზრის პრინციპით მოქმედება, რაც აისახა კიდეც ორუელის რომანში. ოკეანიამი doublethink-ის მეთოდოლოგიით აღზრდილ პარტიულ მუშაკებს „ნებისმიერი საგნის სიღრმეში ჩანვლდომის სურვილი და უნარი“ აქვთ დაკარგული.

კომპარტიის წევრებიც მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საბჭოეთში, სხვაგვარად როგორ უნდა აგვეხსნა ილია ჭავჭავაძისა და მისი მკვლევლობის ერთ-ერთი მონაწილის, ფილიპე მახარაძის, მთაწმინდაზე დაკრძალვა, მსხვერპლისა და მკვლელის ერთად?! ხომ არ სურდა მავანს, ისე გადაგვარებულიყო, რომ სიკეთე ბოროტებისგან ვეღარ გამოგვეჩიქრა? შავსა და თეთრს შორის სხვაობა ნაშლილიყო?

თუმცა „უმეცრება ძალაა, ომი — მშვიდობა, მონობა კი — თავისუფლება...“ სწორედ ორაზრის შემცველი მსგავსი

დემაგოგიით ცდილობენ, დაიმონონ ადამიანები ოკეანიამი...

კლუბური არისტოკრატია

შეერთებული შტატები არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი ქვეყანა რომაა, ამას, უპირველეს ყოვლისა, დიდი ამერიკელი მწერლები აღნიშნავდნენ. ჯონ სტაინბეკი წერდა უმიწოდ დარჩენილ ადამიანის ტრაგედიაზე „მრისხანების მტევენებში“; უილიამ ფოლკნერი საუნივერსიტეტო ლექციებში აკრიტიკებდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გეგმას პროფესიული საზოგადოების შესახებ, ადამიანს რომ აიძულებდა რაღაც დაჯგუფების წევრი გამხდარიყო და მხოლოდ შემდეგ გამოეთქვა თავისი აზრი; ჯერომ სელინჯერი თვალთმაქცურს უწოდებდა ამერიკის კოლეჯებში გამეფებულ სიტუაციას და ავტობიოგრაფიული პერსონაჟის, ჰოლდენ კოლფილდის, მეშვეობით ამხელდა ფულის დიქტატურას; რიჩარდ რაიტი რომანში „ამერიკის შვილი“ საუბრობდა რასობრივ უთანასწორობასა და ფერადკანიანთა შორის არსებული კრიმინალური ცნობიერების ანატომიაზე. პრობლემები, რომლებზეც დიდი ამერიკელი მწერლები თავის დროზე მსჯელობდნენ, დღეს განსაკუთრებით გამწვავდა. რასობრივ ნიადაგზე აგორებული საპროტესტო მიტინგების მონაწილენი არბევენ სუპერმარკეტებსა და მაღაზიებს; ანადგურებენ ცნობილი ადამიანების (აბრაამ ლინკოლნის, ჯორჯ ვაშინგტონის, ქრისტეფორე კოლუმბისა და სხვათა) ქანდაკებებს, თითქოს, ორუელის ანალიტიკური ცენტრის მსგავსად, წარსულის გაუქმება სურთ, რათა ყველაფერი ნულიდან დაიწყონ, ისტორიული მსხვიერების გარეშე.

განათლების სისტემაში გამეფებულ თვალთმაქცობას, ამ ორივედ წლის წინ CNN-ის ცნობილი ჟურნალისტი ფარიდ ზაქარიაც შეეხო თავის საავტორო გადაცემა GPS-ში. მოწვეულმა სტუმარმა, „ნიუ იორკერის“ ჟურნალისტმა, მალკოლმ გლედუელმა, საფუძვლამდე თვალთმაქცური (inheritance) უნდა ჯეიმზ კონროისის ცნობილ ტექსტს ყველა ამერიკელისთვის. მისი აზრით, 50-იანებში საშუალო ფენიდან გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს ჯერ კიდევ ეგონათ, რომ ისინი ჩანაცვლებდნენ საჯარო სამსახურებში მდიდარ არისტოკრატთა შვილებს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ვერც მოხდებოდა, რადგან ტესტირების კონსულტანტებისა და ტუტორების დასაქირავებლად ყველას არც მიუწვდებოდა ხელი. დღეს, მაგალითად, რიგითი კონსულტანტის გასამრჯელო 15 000 დოლარია, განსაკუთრებული პაკეტის შემთხვევაში კი თანხა მილიონამდეც აღის. SAT-ის რეიტინგში პედაგოგის დასაქირავებელი თანხა 200 000 დოლარიდან იწყება, რაც დამქირავებელს იმის გარანტიას აძლევს, რომ მისი შვილი 400 ქულით დაწინაურდება. თუმცა ეს მხოლოდ მიზეზული თანხაა. ზოგიერთი მშობელი 10-50 მილიონამდე დოლარსაც კი იხდის პედაგოგის დასაქირავებლად. ამიტომ მიაჩნია „ნიუ იორკერის“ ჟურნალისტს (გლედუელს) ტესტირების სისტემა თვალთმაქცურად, ამის გამო ვერ შეესხა ფრთები 50-იანელების ოცნებას თანასწორობის შესახებ. სწორედ ესაა ფულის დიქტატორის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელსაც მტკიცებულად განიცდიდა სელინჯერის ლიტერატურული ორეული ჰოლდენ კოლფილდი.

ფარიდ ზაქარიამ პროლეტარებულ ფენას მშვენიერი სახელი მოარგო — „საკლუბო არისტოკრატია“. უნებლით გვახსენდება ორუელი, მისი თეზისი ორაზრის შესახებ: ქვეყანაში დემოკრატიაა, პარტია დემოკრატის გარანტია, მაგრამ სინამდვილეში რაღაც სფეროებში დემოკრატის უმთავრესი პრინციპი უბრალოდ არ მოქმედებს.

დაიხ, ორუელი მუქი ფერების მოყვარული მწერალია, თუმცა უიმედობას არ ქადაგებს. პირიქით, „1984“ მკითხველს მოსალოდნელ საფრთხეებთან გასამკლავებლად ამზადებს.

ბარიბაზა

ესეს დასაწყისში ვახსენე თომას მანის ცნობილი გამოთქვაში „კადნიერებით აღსავსე ბარბაროსობა“. ამგვარი ეპოქის დადგომას წინასწარმეტყველებს მწერალი რომანში „დოქტორი ფაუსტუსი“. გავიხსენოთ თხზულების ის მონაკვეთი, როდესაც ადრიანს სამაილი (სამსალის ანგელოზი) სულის გაყიდვის სანაცვლოდ ჰპირდება, რომ მისი მეშვეობით ეპოქას წინ გაუსწრებს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კადნიერებით აღსავსე ბარბაროსობას“. ხალხურ, გოეთეს „ფაუსტუსს“ და მანის „დოქტორ ფაუსტუსს“ შორის თვალშისაცემი მსოფლმხედველობრივი სხვაობაა, ხალხური ფაუსტი მარცხდება, გოეთესი — იმარჯვებს, ადრიან ლევერკიუნი კი ფრიდრიხ ნიცშეს მსგავსად ფსიქიკურად ავადდება. თუმცა, აღნიშნული განსხვავების მიუხედავად, ამ სამ ფაუსტს შორის არსებითი მსგავსებაცაა, ისინი სიყვარულის ქალღმერთ ვენერას უნდა ეზიარონ (ხალხური თხზულებისა და გოეთეს ფაუსტი — მშვენიერ ელენეს მეშვეობით, ხოლო ლევერკიუნი — ჰეტერა ესმერალდასი). ელენე და ესმერალდა თითქოს სიყვარულის ქალღმერთის მოციქულებია, მათ გარეშე ვერც ფაუსტი და ვერც ლევერკიუნი ვერ ეზიარებიან წარმართ ღვთაებას.

მაგრამ რა აკავშირებს ვენერას ლუცი-ფერთან? ან რატომაც სიყვარულის ქალღმერთთან ზიარება სისხლით დაწერილი ხელშეკრულების უმთავრესი პუნქტი „დოქტორ ფაუსტუსში“? პლანეტა ვენერა (ცისკრის ვარსკვლავი, მთები, აფროდიტი) ბიბლიაში ეშმაკ-მთავარადა სახელდებული, „შავეთს ჩაინთქა შენი დიდება... როგორ ჩამოემხე ციდან, მთებიო, ძეო განთიადისა! მინას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო!“ (ესაია 14, 11-12). პლანეტა ვენერას წარმართები ორიზოსტასის (ანდროგენულ) ღვთაებად მიიჩნევდნენ, ის სიყვარულის ქალღმერთიც იყო და ლუციფერიც. ასე რომ, არც უნდა გაგვიკვირდეს, ადრიანი თავის უმთავრეს ნაწარმოებში, „დოქტორ ფაუსტუსის გოდებაში“, ვენერას მოციქულ Heae es. Hetaera Esmeralda (ჰეტერა ესმერალდასი) სახელს რომ აქსოვს ქარაგმულად, თორმეტმარცვლიანი კოდის მეშვეობით. კომპოზიტორი თითქოს მუსიკის ერთი გვიყვება, თუ როგორ ტრიალებენ ვენერას შუქში მნათობებად ქცეული „ნეტართა სულელები...“

სამაილის შეპირებულმა კადნიერებულმა აღსავსე ბარბაროსობამ მკითხველს, შესაძლოა, დანიელ წინასწარმეტყველის მიერ ნახსენები გატიალების სიბილნეც გაახსენოს, უკანასკნელ ფაშს რომ უნდა დადგეს, როდესაც ხელახლა აგებულ სოლომონის ტაძარში ანტიქრისტე საკუთარ და წარმართ ღვთაებათა კერპებს აღმართავს. ერთი შეხედვით, ეს წინასწარმეტყველები შორეულ მომავალს ეხება, თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, მასში XX საუკუნეში მიმდინარე პროცესებსაც ამოვიცნობთ. გავიხსენოთ, რა წერია დანიელის წინასწარმეტყველების მეთერთმეტე თავში, ის ერთი მუჭა ხალხის მეშვეობით აღზევდებაო. როგორ აღზევდებოდა ვინმე, თუნდაც ანტიქრისტე, ერთი მუჭა ხალხის მეშვეობით, რომ არსებულიყო ძლიერი საშუალო ფენა? საშუალო ფენა კი სწორედ XX საუკუნეში განადგურდა. ერის ფრომი აღნიშნავდა, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მოვლენები უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ჩინეთსა და რუსეთშიო. მართლაც, ის, რაც საბჭოეთში სწრაფად და უხეში ფორმით მოხდა, დასავლეთში ნელა, ცივილურად და დელიკატურად განხორციელდა. საბჭოური გაკულაკების 10 მილიონამდე შეძლებული გლეხი ემსხვერპლა, ბანკებმა და მსხვილმა კორპორაციებმა ამერიკასა და ევროპაშიც უამრავი ფერი და ბიურგერი გაანადგურეს, მაგრამ — უსისხლოდ, უბრალოდ გააკოტრეს და აიძულეს, მინა ჩალის ფასად გაეყიდათ. ეს იყო წინაპირობა (მატერიალური პლაცდარმი), რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სულეიერი კრიზისი და მორჩილი, ხელფასზე დამოკიდებული მასის შექმნა. მსოფლიოში მიმდინარე ამ შეუქცევადმა რევოლუციურმა პროცესმა შეინარა ილია ჭავჭავაძის, პეტრე სტოლიპინის, ინდირა და რაჯივ განდების მსგავსი ლიდერები, თავადაზნაურობისა და საშუალო ფენის ინტერესებს რომ იცავდნენ. ნამდვილ ელიტასთან ერთად განადგურდნენ თვითდასაქმებული, თავისუფალი ადამიანებიც, რომელთა მართვაც სპეცსამსახურს უჭირდა. ყოველივე ამან კი ნიადაგი შეამზადა ახალი უღმერთო დროების დადგომისთვის.

სწორედ იმ ბარბაროსულ, კადნიერებით აღსავსე ეპოქაში უნდა დასრულდეს ანტიგმირის პორტრეტიც...

დახიუბი



ალექსანდრე ნარსია

 ვფიქრობდი
 დიდხანს,
 ხის
 მოჭრის
 და
 ნაქცევის
 შემდეგ,
 სად
 მიდის
 მისი
 ლამაზი
 ჩრდილი,
 სად
 იკარგება?..

 წვიმის
 დროს
 მგ ზავრებს
 შეიფარებს
 სოფლის
 ეს
 ქოხი,
 როცა
 სასახლეს
 ყველა
 კარი
 დაკეტილი
 აქვს...

 და
 სანამ
 ბუხარს
 დაანთებდა,
 საკვამურიდან
 ობობები
 ამოიყვანა,
 ბედნიერი
 ვარ,
 მამაჩემი
 რომ
 ერქვა
 იმ
 კაცს...

 ილორში
 ქრისტეს
 ამოუვსეს
 კირით
 თვალეზი,
 ფსოუს
 ხმა
 ჰგავდა
 იმ
 საღამოს
 ღვთისმშობლის
 ქვითინს...

 იატაკამძვრალი
 სახლიდან
 გამოსული
 მშვიერი
 ბავშვის
 ტირილი
 აღვიძებს
 ღმერთს
 (ყოველ
 დილით)

და
 არა
 თქვენი
 ზარების
 ხმა...

 ვინ
 იცის?!
 ახლა,
 ამ
 სოფელში,
 ამ
 წყნარ
 ღამეში,
 ხვალინდელ
 პურზე
 ფიქრში,
 რამდენ
 სახლში
 არ
 სძინავთ...

 დაშრა
 მდინარე
 და
 ნალვლიანად,
 ტკბილ
 მოგონებებს,
 ფქვავს
 მენისქვილე...

 დაღამდა...
 ღმერთმა
 შეინახა
 მ
 ზ
 ე
 შენს
 თვალეზში...

 სხვისი
 რომ
 გშურდა
 და
 თან
 ზურგში
 ქვებსაც
 ესროდი,
 ნუ
 გიკვირს
 ახლა
 ცხოვრებამ
 თუ
 წელში
 მოგხარა...

 ნეტავ,
 თუ
 იცის
 წვიმამ,
 მისი
 წვეთის
 სიმძიმეს,
 რომ
 ვერ
 გაუძლო

ფოთოლმა
 და
 ტოტიდან
 მონყდა...

 აქ
 როცა
 ენგურს
 მოვუყევი
 ჩემი
 ტკივილი,
 იქ,
 აფხაზეთში
 ზღვა
 აღელდა
 მოულოდნელად...

 დედის
 თავსაფრიან
 ჩრდილს
 ჩემს
 ეზოში
 გათხოვ,
 ნურასოდეს
 ჩამიქრობ,
 მზეო...

 სანამ
 ხეს
 მოჭრი,
 ჯერ
 გადარგე
 მის
 ფულუროში
 ამოზრდილი
 ლურჯი
 ყვავილი...

 დღეს,
 მთელი
 ნირვა,
 ღმერთი
 იდგა
 ტაძრის
 კარებთან
 და
 შემომსვლელებს
 დახმარებას
 სთხოვდა
 ამაოდ...

 მთვარევე,
 პატიმრის
 მომცრო
 სარკმელს
 გვერდს
 ნუ
 აუვლი,
 შენში
 არეკილ
 სატრფოს
 მზერას
 რომ
 ელოდება...

 ნამოსახლარზე
 თეთრ
 ტყემლებთან
 შეჩერდა
 ქარი,
 ვერ
 გაიმეტა
 ყვავილები
 გასაფანტავად...

 ვდგავარ
 ვენახში,
 მამაჩემის
 ნაქონ
 სასხლავით,
 ვერა
 მცნობს
 ვაზი,
 მე

მისთვის
 ვარ
 სრულიად
 უცხო...

 რა იცის
 მდინარემ
 სოფლის
 შესახებ,
 ღელემ
 თუ
 ამბავი
 არ
 ჩაუტანა...

 მე
 მეშინია
 იმ
 ცივი
 ღამის,
 როცა
 გადახდილ
 საბანს,
 არ
 დამაფარებს
 დედა...

 პუპლის
 ერთი
 დღის
 სიცოცხლე
 შურდა,
 იქ,
 გალიაში
 დამწყვეტულ
 არწივს...

 ხე მოჭრა
 კაცმა
 და გასათობად
 წაიღო
 სახლში,
 შაშვი
 მთელი
 დღე
 დაეძებდა
 თავის ძველ
 ბუდეს...

 მე ზობლის
 სახლიდან
 ცხელი
 პურის
 სუნი
 გამოდის,
 ჩვენ
 სამი
 ბავშვი
 ერთ
 მანდარინს
 ვიყოფთ
 და
 ვწვებით...

 თაროზე
 მიმოფანტულ
 დედის
 ფოტოებს
 ვეფერები,
 როგორც
 ნიავი
 საფლავებს
 შორის
 ჩამოყრილ
 ფოთლებს...

 მდინარე,
 სადაც
 მე
 და
 მამა
 ვიჭერდით
 თევზებს,
 დამშრალა,

როგორც
დედაჩემის
თვალებში
ცრემლი...

აივნის
კარში
მოყოლილი
მისი
სხივები...

მათ
ამოავსეს
ქვებით
ჭა
და
ველარც
კი
მიხვდნენ,
რომ
დედამინა
ცალი
თვალით
დაბრმავდა
მაშინ...

წყალმა
ნაილო
ნისქვილი
და
რახანია
არაფერზე
არ
მიფიქრია...

ვზივარ
ბუხართან,
საკვამურზე
ქარი
ხმაურობს,
მამის
ხმას
მოჰგავს,
მსაყვედურობს
მოუვლელ
საფლავს...

გამთბარ
მინიდან
ამოსულ
ყვავილს
ცივი
ხელებით
ნუ
დააჭკნობ,
აღამიანო...

თემურ ელიავას

დრო შემოაკვდა, ჩემო ძმაო, ნიკო ფიროსმანს,
ეპოქას უნდა უმეცრების ჩრდილი გავხადო,
იმათი დედაც (აბებს ვსვამ და კიდევ ვიყნოსავ),
ვისაც კაპიკად არ უღირდა მისი ნახატი...

ხვდებოდნენ ხიდთან კვირკველიას, უბრად, უტიფრად
და დასცინოდნენ დაკერებულ შარვლის ტოტებზე,
ხოდა იმათიც, თუმანი რომ აღარ უღირდათ,
ნალენჯიხელის მხიარული გავლა პროსპექტზე...

სანამ ბებერი მთვარე ოთახს ისევ მინათებს,
რენტგენზე სანამ გაშუქდება ღვიძლი დაშლილი,
არ შევიკავებ აქაც თავს და ერთი იმათიც,
ვინც ძველ ჩოხაში ველარ იცნო რაზიკაშვილი...

მე ვნერ და ჟამმა გაარკვიოს სტილი და ჟანრი,
არც თავმდაბლობა აღარა მაქვს ოდენ იოტის,
კიდევ იმათი, ტროტუარზე ვინც ნახა მთვრალი
და სახლამდე არ მიაცილა გალაკტიონი...

ვუმტვრევთ დარაბებს ბრმა ეპოქას, ყეფენ ძაღლები,
დღეს პოეზიის ამბიონზე სხვა მზე ანთია,
ბოლოს იმათიც, ვინც სიმღერა, ძველი ვალები
და გენიოსთა ამბოხება არ გვაპატია...

ისევ აფხაზეთზე

გურამ ქაჯაიას

მასსოვს, პირველის დაწერა ერთ ღამეში მასწავლე
და ილორში სანთლები ერთად უნდა აგვენთო...
დაკარგული ბევრი მაქვს,

ცრემლი — სევდის მარცვალი,
მე ცალხელა კაცი ვარ ახლა უაფხაზეთოდ...

მე საკუთარ მინაზე დღესაც ემიგრანტი ვარ, —
ვამბობდი და თვალებში ცრემლი არ ჩამეტია,
კაცი ვარ და ჭრილობას მოვარჩენდი მარტივად,
მაგრამ ჩემთვის სოხუმი ჭრილობაზე მეტია...

ჩემი მორდუს ხმა მასსოვს — რატომ დაიგვიანე?!
და პირველი ქვემეხი, რომ გავარდა მეხივით,
როგორც ქრისტემ გოლგოთა, ისე გამოვიარეთ
თოვლითა და ტალახით სავსე უღელტეხილი...

მერე იყო ფიქრები დაბრუნების დღე-დღეზე,
თუმცა ნელა ქრებოდა იმედის მოლოდინი,
მასსოვს, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვეძებე,
პირველად რომ ჩამესმა მწარე სიტყვა, „ლტოლვილი“...

ბევრი პალმა გახმაო, ბევრიც დგასო მოწყენით,
აღბათ რომ არ ისმენენ ახლა ქართულ საუბარს,
მოწყენილი არიან უქართველოდ ქუჩებიც,
ძმადნაფიცმა გამანდო ნუხელ, გიმზერ ჩაუშბამ...

მაფშალიას გალობა ისმის კვლავ ენგურიდან,
ზღვამ ნისლიან კალთაში მზე ჩაისვა ბავშვივით,
ღმერთო, დღლა მანახე „ძიარისა“ ქუჩიდან,
ნატვრაასრულებული — სხეულიდან გამიშვი...

არაფერი დარჩება მჯერა ამ ტკივილიდან,
ილორში რომ ქართულად მღვდელი
ნირვას ალაველენს,

ისევ ერთი მამალი გააღვიძებს დილიდან
ხელისგულზე დატეულ ოდიშსა და აფხაზეთს...

ნუ
დარგავ
ერთ
ხეს
მეორისგან
ისეთ
მანძილზე,
რომ
ერთმანეთს
ვერ
გადაჰხვიონ
დილით
ჩრდილები...

ობოლ
შელის
ნუკრის
ნაამბობი
რომ
მოისმინა,
თავის
ლექვებთან
ხელცარიელი
დაბრუნდა
მგელი...

გაზაფხულს
მარტი
გაუვარდა
და
მძიმედ
დაიჭრა
თებერვალი...

თუ
გიფიქრიათ,
რას
დანერდა
თქვენზე
ის
ძაღლი,
გზატყეცილზე
რომ
მიატოვეთ
იანვრის
სუსხში...

და
იქნებ
მზესაც
ძალიან
სტკივა,

დაბიუტი



თამარ დულაშვილი

მე მზეს დავხატავ,
აალებულს, უფრო — ბრწყვიალას!
ცასაც დავქარგავ,
განათებულს, ლურჯს და წკრიალას;
დავხატავ ყინვას,
ოლონდ — დამდნარს,
სუსხს, ოლონდ — გამთბარს,
წვიმას — შეწყვეტილს, გადაღებულს,
სიცივეს — დამფრთხალს!
დავხატავ მინას, დედამინას, —
არაფურთხიანს,
ჭრელს, ყვავილიანს, მორთულსა და
არაჭუჭყიანს!
მსოფლიოს ხალხებს,
ყველას — ლაღებს, არასნეულებს,
ეპიდემიადავლილებს,
ჯანმრთელ სხეულებს...
მე მზეს დავხატავ,
აალებულს, ლურჯს და წკრიალას,
სამყაროს — ნათელს, არდაჩაგრულს,
უფრო — ბრწყვიალას!..

ზოგჯერ, ხომ გინდა, იგოგოვო, უფრო — იბავშვო...
ყური არ უგდო შენს „კეთილის მსურველ“ უფროსებს,
ზოგჯერ, ხომ გინდა, გადახიო ყველა ფურცელი,
რომელზეც
ვილაც ადამიანებმა
რალაც კანონები
რალაც წესით ჩამოგინერეს...
ზოგჯერ, ხომ გინდა, მოუსმინო ისეთ მუსიკას,
მოდურებმა რომ დაივიწყეს, ჩამოიტოვეს...
გინდა, სულელის და მოგიჟოს მოირგო როლი, —
არა ისეთის, როგორც ადრე
ვილაც ადამიანებმა
რალაც ფურცელზე
თანმიმდევრობით
ჩამოგინერეს...
სინამდვილეში, ყველას გვინდა, ვიგოგოვოთ,
უფრო — ვიბავშვოთ,
ვუცინოთ ათას სისულელეს, ათას სიგიჟეს,
ვიცინოთ მათზეც, ვინც ოდესღაც
ეს წესები
რალაც ფურცელზე
რალაცის დაცვით
თანმიმდევრობით ჩამოგინერეს!..

...ოცნება შემოგბედე მხოლოდ,
ლურჯი, უნაპირო...
სული აგუბებდა აგონიას — გაზაფხულის.
რტოებს ასკდებოდა ჟინი — სიყვარულის,
თრთოდა მელოდია, დაზაფრული...
ოცნება შემოგბედე მხოლოდ
მაშინ, როცა
დილასთან მრუშობდა ღამე,
როცა ქარიშხალი სახეს მინენავდა,
როცა მზეც კვდებოდა, მთვარეც...
არა, დარი იდგა ვარდისფერი,
არა, წვიმა წვიმდა როცა,
როცა ფერმიხდილი სული მკარნახობდა —
კმარა, შეწყვიტო ლოცვა!
მაშინ გიჟმაჟობდა
დარი — ავდრიანი,
გრძნობის კოცონები
ნითლად ნელდებოდა,
ტილოს ეღვრებოდა ჩემი რითმები და
ნამი საუკუნოდ ჩერდებოდა...
არა, გრძელდებოდა,
გზები — სველდებოდა,
იქნებ მოკლდებოდა,
იქნებ მივყვებოდი,
იქნებ — მომყვებოდა,
მე რომ მოველოდი,
ის თუ მომელოდა?!
ღამე ნელდებოდა,
უკვე თენდებოდა,
ნელი რიჟრაჟები ჩქარობდნენ გაქრობას.
...ცა იყო მაღალი,
როცა შემომენთე
და როცა ოცნებით —
ოცნება შემოგბედე!..

დასაწყისი პირველ გვერდზე

აკა მორჩილაძე

მისტერ პრისის და მასტერ უილის ამბის დასაწყისი

ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან „მისპოპერი“

ჩემი მეგობრის, კრისტოფერისა და შარლოტის ქორწინებამ შევიდ წელიწადს გასტანა. მერე ისინი დასცილდნენ, ბოლოს კი ერთმანეთს გამოვდივარ.

კრისი რომ დააპატიმრეს, უკვე ერთი წლის განქორწინებული იყვნენ, მაგრამ შარლოტთან მისვლა და მისაღებად თათბირი დივანზე წამოგორება და ძილი კრისის მაინც ყოველთვის შეეძლო. შარლოტს მოსწონდა, რომ ყურადღებიანი ადამიანად ჩაეთვალებოდა, პირდაპირ გაუფრთხილდა, რომ კრისისთვის კეთილ სამართლებრივ წარმომრჩეველად იყო. ყოველთვის ვეჭვობდი, რომ ეს რაღაც უფრო ჩახლართული იყო, ვიდრე უბრალოდ პატრონობა. თუმცა, გვერდიდან შემწყნარებელი ყოფილი ცოლის უშუალოდ სიკეთის გარდა, ვერაფერს დაარქმევდი.

ამის მიუხედავად, კრისის პატიმრობის შესახებ წლის თავზე შარლოტი დაქვრივებულ შვიცარიელ ჯენტლმენს გაჰყვა და მას შემდეგ ორ ქალაქს შორის მიმოიფარა. მისი ქმარი ჰუმბოლდტ ჰუმბოლდტი საბაგიროების განთქმული ინჟინერი იყო, რაც მნიშვნელოვან ხელშეწყობას იტარებდა.

მოკლედ რომ ვთქვა, ისინი სადღაც ციურის ხის ახლოს ცხოვრობდნენ, მაგრამ ადგილს ისეთი სახელი ერქვა, რომ მარჯვენა ხელზე ამოსვლიდან გარეშე ვერაფრით დაიმახსოვრებდი. ოსტელბოლსის მსოფერო. რაღაც ასეთი. თავს ვერ დავებდი. მგონი, გერმანული ლუდის სახელში ამერიკა, რომელიც, თავის მხრივ, სოფლის სახელი უნდა იყო.

საქმე ისიცაა, რომ შარლოტმა, თავის ფრაუ ჰუმბოლდტად გადაქცევის მიუხედავად, მაინც ყველაფერი იცოდა კრისის შესახებ, თუმცა, ვერაფერს იტყოდა, ამას როგორ ახერხებდა. ჩემი აზრით, მან უბრალოდ უარი თქვა თავისი ახალგაზრდობის დავინყებაზე და წარსულს კვლავაც ყოველდღიურობის ნაწილად თვლიდა.

არაფერი დაივიწყა, მათ შორის, არც კრისის ღრუბაბა ნეცხანი და სიგიჟე, რაც წლები გრძელდებოდა, როგორც დათაფლი კომპარი. ისე ჩანდა, რომ ეს ქალი ყველაფერს ალმერტებდა, რასაც ჩვენი საბრალო მძაკეც სჩადიოდა. ამბობენ, რომ უყვარდა და როგორც იყო, ისეთი მიიღო. იოლი ნათქვამია. მაინც გაშორდა. სხვა გზა კი არ იყო.

იმის შემდეგ, აბა, რამდენმე ნყალმა ჩაიარა ამ წყვეულ ხიდებს შორის:

პარიზში, ტელევიზორების მალაზიის ვიტრინასთან ვიდეოთი სამივენი და ხმაგაქმნა ეკრანებს ვუკრავდით ტაშს. იქ ტეტჩერის გადადგომის კადრები ტრიალებდა. ხანგრძლივი, შეიძლება ითქვას, იშვიათად ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ იქორწინეს. სწორედ იმ დღეებში.

კრისის მსოფიანი ჭენების დღეებშიც კი, როცა ის სკამებს ისროდა დახურული ფანჯრებისკენ, ფოსტალიონს ახრჩობდა, შემთხვევით გადაიჭრიდა ვენას და იმ საბედისწერო სადამოსაც, როცა თავის დასთან მიხეტებულმა სიძეს ხელი ჰკრა და მაგიდებისა და კარადების კიდეების ვერაგობის ცნობილი და სამარცხვინო ადამის მიხედვით, იმ საბრალო ფეხდაცდენილმა კაცმა სამზარეულოს მაგიდის კიდეს საფეთქელი ჩამოარტყა და წამსვე გარდაიცვალა, შარლოტი არასდროს დამალულა. სიჩუმეში, დაძაბულ თანაგრძობასა და თანამონანილობაში ჩაძირული შემდგარ გზა არ გააადიოდა.

ამის არსი ვერაფრით გავარკვიე, „უბრალოდ სიყვარულის“ ვერსია კი წლობით შეურაცხყოფდა ჩემს ინტელექტს.

სასაფლაოს ეგ მხარე დაკეტილი იყო. კრისი აღარავის უყვარდა ალბათ იმ ფრანგი ქალის გარდა, ტარნემ გრინზე რომ ცხოვრობდა.

ყველა შემთხვევაში, ამბები მკვდარიც იყო, მოკლულიც და შარლოტმა კიდევ ერთხელ დარეკა.

„მეცი პატივი, სახლში ძველი მობილური ტელეფონი მოძებნე, ახალი სიმ ბარათი უყიდე და მიეცი. ნომერი მომწერე. გააკეთე ეს ჩემთვის. ტელეფონი დატენე. სულ ხაზზე უნდა მყავდეს. ზუსტად შუადღისას იქ იყავი. პატრონზე სოფი შემოგვიერთდება“... დაამატა მან, „სხვათა შორის, ეს საუცხლო იქნება მისი ბაირონის ესპენისათვის... გმადლობ, ჩემო ერთგულ მოკავშირე. ჩემო მეგობარო, ჩემო ძვირფასო უილ“...

სოფი კრისის და შარლოტის ერთადერთი ქალიშვილი, მეორე წელიწადს იწყებს ოქსფორდში.

„არის, სერ“, და კუთხის მალაზიისკენ გავუხვიე სიმ ბარათის საყიდლად.

ფინური ცრემლის კარგი ბოთლიც მჭირდებოდა. წლობით თავშეკავებული ადამიანის პირობაზე, aqua regia ერთადერთი რამ იყო, რასაც ჩემს გულში ცეცხლის დაწებება ვაძლავდა. მოჩვენებითი ცეცხლი იყო, მაგრამ მაინც.

2.

რიდინგის ახლო, რიდინგის ციხეში, სირცხვილის ხაროა გათხრილი! —

ყველას გვახსოვს იმ საბრალო პოეტის სიტყვები, რომელიც მარკიზმა ქუინსბერემ სიძედ არ აღიარა. ამ სტრიქონთა და თვითრიდინგის ციხის პირქუშობის მიუხედავად, შენ მაინც უნდა შეაბა ცხენები, და კარეტა M4-ის შარაზე შეაყენო, მერე კი ჰკვეთო მინები სამეფო მამულ ბერკშირისა, აეროდ ტავერნებსა და შარაგზის ყაჩაღებს, არ დაისვენო, არ ჩაიმუხლო, განზე ყურებით გაიარო საგუშაგონი და აჭენო იმ ერთადერთი აზრით, რომ სრულ შუადღეს ბავშვობის ძმაბიჭს გადაეხვევი, რომელსაც ეს საათია, გასვლია ვადა და ამოსიუთქო მხოლოდ მაშინ, როცა რიდინგის სატელეფონო კომპარა ამოწმობდე და შენს თვალთა წინაშე.

კარგ ფინურ ბოთლს ხელჩანთაში სიძისა, მისი საყვარელი მერთალი ელი კი მოგვიანებით წამოჩხუხებდა რომელიმე სწორად გიგანს. ნეტავი ყველაფერი, რასაც მის გათავისუფლებაზე ვფიქრობ, მხოლოდ გალემის სურვილში იკვეთება, თუ ეს ერთადერთი რამაა, რასაც ვეფუები?

მე მიყვარდა მისი სიმთვრალე. ჩემთან ყოფნისას არასდროს გადარეულა, მხოლოდ ნაიმსახიობებად ხოლმე.

იმ სისულელეზე რაც დილით დამემართა, სიცოლით მოკვებოდა.

მისტერ დისტრაიტი მეტსახელი იყო, რომელიც ფრანგულის მასწავლებელმა შემარქვა. უყურადღებოც ვიყავი, გაფანტულიც და დაბნეულიც. დისტრაიტი იოლად გადაკეთდა დიხი-დ და კრისის იმ მოსწონდა, რომ რეტდასხმული მეძახდა. ისე ირგებდა ჩემს გაფანტულობას და ყოფით უყურადღებობას, რომ დაბნეულობას ძალითაც გავითამაშებდი ხოლმე. არაფერი მინახავს უფრო შთამბეჭდავი და მიმზიდველი, ვიდრე მისი ბიჭობისდროინდელი სიცოლი იყო.

მაგრამ ბიჭები ისე არ ფიქრობენ მშვენიერებაზე, როგორც ორმოცდაათს მიტანებული კაცები. ოდესღაც ბიჭი ვიყავი და უბრალოდ ვხარობდი, როცა მას ბედნიერება ვანიჭებდი. ოდნავ ხელმოწერად კი გამოდგობდა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ თითქოს რაღაცას ვიხდიდი სკოლის ვარსკვლავთან სიახლოვისთვის.

მოგზაურობას რომ მივუბრუნდით, ასე იყო: დილის თერთმეტის ნახევარზე, ილნიგში, მორტიმერ როულზე ჩემი ეზოს ჭიშკარი გავაღე, ჩემივე Saab 92B დავექოქე და

დავიძარი რიდინგისკენ, სადაც ადრე არასდროს ვყოფილვარ.

როცა ბერკშირისკენ მიწვედა, ჩემი მოგზაურობის ბოლო წერტილი ყოველთვის უინძორი იყო. გზის გადატვირთულობაზე არაფერი გამომოციათ და იმასაც კი ვფიქრობდი, რომ გამოსვლა ცოტა ადრინად მომივიდა. სულაც არ ვგრძობდი თავს შავ კეჟსა და კუბოკრულ პიჯაკში და ლოდინისას არც ვახეთის კითხვა შემიძლია, არც სატელეფონო ჭადრაკის თამაში.

მხოლოდ მაშინ, როცა ჰითოროუ უკან მოვიტოვე, მივხვდი, რომ რიდინგში არაფერი მესაქმებოდა.

კრისის ერთი ღამეც არ გაუთენებია რიდინგის ციხეში, ის ნიუგეტის ჩიტბატონა იყო.

იქ მხიარული ბალადაც კი დაწერა, გაბაახება დიკ ვიტინგტონთან, ლონდონის ლორდ მერთან. იმის მიუხედავად, რომ ეს ბალადა სკოლის დროების შემდეგ დაწერილი პირველი და ერთადერთი ლექსი იყო და მისი ტუსალობაში შექმნილი ხელოვნების ერთადერთი ნიმუში, ის მაინც როგორც პოეტი და ნიუგეტის მენესტრელი ისე წარმოადგინეს.

ბალადა სპაიგლასმა გამოაქვეყნა C3.3-ის ფსევდონიმით. ასევე, საერთოდ პირველი ლექსი იყო, ამ ფურნალმა რომ საუკუნის განმავლობაში დაბეჭდა და საერთოდ, კრისის წიგნები აღარ გამოიცემოდა. აღარავინ კიდებდა ხელს ოკეანის ორივე მხარეს. შარლოტი კი მაინც რაღაცებს ცდილობდა დედამინის სხვადასხვა წერტილებში. ბალადის გამოქვეყნებაშიც, ცხადია, შარლოტის ხელი ერია, მისი კავშირები ხომ საარაკოა, როცა საქმე გამოქვეყნებას, რედაქტირებას, გამოცემას და გავრცელებას შეეხება. ეს მისი საოჯახო, მოდელირებადი ციხეცაა კი იყო, რომ წაწორებდა იმ ადგილებში მობრუნებული ფეხი, სადაც ასოები მიგნებად იქცევა.

შარლოტი ჩემს თვალწინ ამუხრებდა და ავითარებდა კრისის სამწერლო კარიერას. სინამდვილეში, ეს შარლოტის კარიერა იყო.

ის პირველსავე მხეხვედრისას ჩაებლახა ჩემს მეგობარს და ეს მკაცრი მარწუხი გამოდგა.

შარლოტის თავგანწირვის გარეშე კრისის ნაწერებს თვალსაც არავინ ჩაკრავდა. კრისის საბეჭდო მანქანები ეჯავებოდა და არც როგორმე მონესრივებდა წერის უნარი გააჩნდა. ცხოვრება ბევრად მიმზიდველი იყო მისთვის, ვიდრე სანერ მაგიდასთან ყოველდღიური ვაება. მაგრამ მას წერა უყვარდა. წერა კი ისე უყვარდა, როგორც ქალს უყვარს ხელსაქმობა მოცალეობის საათებში. დანერული ნინადავს ისე მოსწონდა, როგორც საუკეთესო ნაჭარგი და ამიტომ ის წერდა უცაბედად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, ნიგნაკებში, სახატავ ფურცლებზე, კონვერტებსა და ხელსახოცებზე და ასეთი ნაწერები ყველგან ეფინა მათ სახლში. რაც მაგარი ჰქონდა, ის იყო, რომ ამგვარი წერის მიუხედავად, ზუსტად მიყვებოდა მოფიქრებულ შინაარსს და აგებულებას. მის ჩანაწერებს ყოველთვის რაღაც გამჭოლი და მტკიცე აკავშირებდა და კარგად რედაქტირებული ტექსტი საკმაოდ მომზიბვლელ ნაგებობად გამოიყურებოდა.

ვერავინ წარმოადგენდა, რომ ქალადღის ამ ნაგელეებისგან ამბავი გამოვიდოდა, მაგრამ შარლოტმა რომანი შექმნა. ის აგროვებდა, ახარისხებდა, ასწორებდა ნაწერებს და მანამდე უკაუნებდა საბეჭდო მანქანას, სანამ წიგნი არ აკინძა. რომანს ბატონი ჯანდაბა და ქალბატონი დონანა დაარქვა კრისის ერთი ნაწივე გამოთქმის მიხედვით და მის გამოცემას წამსვე დათანხმდა შარლოტის მამის მეგობარი.

მოულოდნელი და ხმაურითი წარმატება სამიოდ დღეში მოვიდა.

ასე რომ, კრისის სამსახური აღარ სჭირდებოდა. სამსახურის აუცილებლობა არც ადრე იგრძობოდა, შარლოტის ოჯახი და კრისის დედა ყოველთვის მხარში ედგნენ ამ მშვენიერ წყვილს.

ბატონ ჯანდაბას და ქალბატონ დონანას მეორე რომანი, მორცხობის აღისფერი ნიშანი, მოჰყვა, რომელიც თერთმეტ ენაზე ითარგმნა და თვით სტენლი კუბრიკმა მისი გადაღების უფლება იყიდა, თუმცა, ასეთ ფილმს არასდროს შესდგომია. ყველაფერი ბრწყინვალედ იყო და შარლოტი ცდილობდა, რომ რაღაც წესრიგი შეეტანა კრისის სამუშაო ჩვევებში.

მერე დიდი შესვენება ჩამონვა, რასაც ეშმაკის მიერ ნახნავ ფერადოვან მინდვრებზე თვითსრულყოფილებით ტკბობაც შეიძლება, ეწოდოს. ამიტომ, თუკი ოდესმე ორიოდ სტრიქონის დაწერა მოენატრებოდა, კრისი ისეთი აზურდული და გამოწონილი იყო, რომ ვერც ხვდებოდა, რა ამაოდ ცდილობს ნახევარი გვერდის შევსებას. ასეთ დროს, ვერცერთ კალმისტარს ვერ ეგუებოდა. კარგად მახსოვს, როგორ იღებდა მაგიდიდან კალმისტარებს ერთმანეთის მიყოლებით და ცდილობდა, თითებში მოეგრგო, მაგრამ შემინებულივით მოისროდა ხოლმე, თითქოს ასანთის ღერიდან თითებს მოწვდენილი ალი ნვაგდა.

„ნაგავი“.

ასეთი გაბმული დამარცხებების შემდეგ, სამყარო აღარ იზიდავდა. ჩემს ძველ დივანზე გაშლართული ის ჭერისკენ უშვებდა კვამლს და ჩვენ ვლაპარაკობდით და რასაც კი სახლში ვიპოვიდით, უღმერთოდ ვსვამდით. ისეთი დღეები იყო, პაბებს და ცნობილ მისამართებს რომ ერიდებოდა ხოლმე. სახლში მისვლა ეზიზღებოდა და კვირებით დაიკარგებოდა ხოლმე იქიდან. იმავდროულად კი ერთ საყვარელს გამოეგდო, მეორეს ეცემა, მესამეს კი თვითონ ემალებოდა.

ასეთ დღეებში ის შეუდარებელი იყო, თითქოს ჩვენი ბიჭობა გამოძვრალიყო საიდანაც. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიდევით ცხოვრების პირისპირ და ისეთს რამეებს ვიღებდით მისგან, რაც ორივეს გვიყვარდა.

ასეთი დღეების სვლისას თითქოს რაღაც შეგვახსენებდა, რამდენი გვქონდა საერთო, როგორ ვენდობოდით და ვუგებდით ერთმანეთს და როგორ ამოყვინთავს ხოლმე ცრუ და ხელოვნური დავინყებიდან ნაზი თანაგანცდის წყალქვეშა ნავი.

ასეთ დღეებში ჩემს გონებაში ატეხილ ორომტრიალს კრისი ტკბილად ირგებდა ხოლმე. ყოველთვისაც ირგებდა, გიჟდებოდა იმ ორომტრიალზე.

ახლა რომ შევხვდებოდით, ამ ორომტრიალისა და ჩემი გუნების გახმოვანებს დაინწყებდა. ძალიან სასაცილო გამოვიდოდა, სულ ცოტათი დამცინავიც. ჩემი ფიქრების მიმართულებასა და ზოგიერთ კუთხეს ძალიან მოხერხებულად გადააქცევდა მხიარულ ამბად თორმეტწლიანი განშორებისა. ჩემს მიერ მისი ერთადერთი ბალადის რიდინგის ციხის ბალადასთან გაიგივების და ამის გამო რიდინგის ციხისკენ ჩემი გამგზავრების ამბავს იმით ახსნიდა, რომ ჩემს არაცნობიერში ისე ცხოვრობს, როგორც ოსკარ უაილდი. დასაბუთებდა, თუ როგორი მტკიცე, ღონიერი და ურყევი ეს სახე-ხატება ჩემში და როგორ ამაგრებს ის ჩემს ცხოვრებისეულ დრამას, მუნიჯი კინოსავით ხილულს.

კრისი ასეთი მოთხრობების დიდი ოსტატი იყო.

ასე მკითხავდა: „რა ეშმაკად ავირჩიე მაგ ბალადისთვის ასეთი ფსევდონიმი? c3.3. მშვენიერად იცი... მხოლოდ იმიტომ, რომ სურათის გენიალურობა დამედასტურებინა“...

მისი მთავარი ნიჭიც ეს იყო. ფერების საოცარი შეგრძნება ჰქონდა და უნაკლო ვითარებით ლოგავდა.

რამდენიც არ უნდა ეცინა, მოხვევა და მობრუნება საკმაოდ იოლად მოვახერხებდა და ნიუგეიტთან მაინც ნახევარი საათით ადრე მივდი.

სადგომიც სწრაფად ვიპოვე და ნიუგეიტ სტრიტს ჩამოვუყევი.

ვიცოდი, რო ვერაფერს ნავიკითხავდი, მაგრამ ახალი ინდეპენდენტი მაინც ავიღე და ციხის კედელს აკრულ ვიადუკის ტავერნაში შევაბიჯე. დროს იქ უფრო მოვკლავდი.

დიდი ტავერნა თითქმის ცარიელი იყო. დახლთან მხოლოდ ერთი ვინმე შემომჯდარიყო სკამზე, ირმებზე მონადირის ქუდი ეხურა და ასანთის ღერებით კოშკს აშენებდა დახლზე.

ელი მოვითხოვე, თუმცა ვეჭვობდი, რომ ნახევრამდე მაინც დავიყვანდი და გაზეთი გავშალე.

დახლის კაცის ახალგაზრდა და სწრაფი გამოდგა. კოშკის მაშენებელმა თავის კეპს ქვემოდან გამომხედა, იმ თავის მოყვითალო თითებში ასანთის ღერი შეარხია და სავალდებულო თანხმობის მოლოდინით მკითხა:

„მოსამართლე არ ხართ. ასეა?“

არა-მეთქი, სერ, არ ვარ, ვუპასუხე.

„არც პროკურორი“.

„ამკარად“, ვცადე გაზეთში ჩამეხედა. „ყველა აქ მყოფი ასევე დარწმუნებულია, რომ ვეჭვილობს არ მისდევთ“, დახლის კაცს გახედა მშენებელმა.

მე გამეცინა.

„მხოლოდ მოსამართლეები, პროკურორები, ვეჭვილები, ციხის მცველები და ყასბები თუ შემოაღებენ ამ სახლის კარს ყელის ჩასასვლელად“, თქვა კაცმა, „ოულდ ბილი გზის გადაღმაა და ხორცის ბაზარი კიდევ უფრო ახლოს. სხვებს დიდად არ უყვართ აქ ამოსუნთქვა. ქუჩები აქ უკაცურია დღის ამ საათს და“... თითქოს შეცოთხვას ჩემგან ელისო, მშენებელმა ახსნა შეწყვიტა.

„და?“ ვკითხე ბოლოს.


„და, აქ რას აკეთებთ?“ მან ფრთხილად გასწია ასანთის კოშკი განზე.

„კარგი“, მგონი, ღრმად ამოვისუნთქე, „კარგი... მეგობარს ველოდები“.

„თქვენი მეგობარი ვეჭვილია?“

„არა სერ“, უცებ ჰაერზე გამოსვლა მომინდა და სკამიდან ჩამოვხტი, „მგონი, ჩემი ნასვლის დროა. მადლობა. ნახვამდის“.

„ბოდიში, რომ შეგანუხეთ“, მშენებლის სიტყვები კართან მომენია, „უბრალოდ ვი-



ფიქრე, რომ ვიღაც ისეთს მოელით, ოთხ კედელს შუა რომ მოიხადა და ფიქრობთ, რომ სრულ შუადღეს ალაყაფიდან გამოვა“, მან გრძელი თითი გაიშვირა პაბის ფანჯრისკენ, „მაგრამ იმ ალაყაფიდან პარასკევ დღეს ჯერ არავინ გამოუშვიათ. ვშიშობ, დღე აგერიათ“.

„მადლობა“, ნავიბურტყუნე და გარეთ გამოვედი.

კრისი ნიუგეიტის ციხის ალაყაფიდან არ გამოსულა.

იმ წყევლზე ქუჩაზე ერთ საათს მაინც ვიყურებულე და ალაყაფისთვის თვალის არ მომიშორებია. ამ საათმა ჭეშმარიტ აგონიაში გაიარა, უკვე ესეის დაწერა შემეძლო ნიუგეიტის ფრონტონების თაობაზე, მაგრამ ვცადე, რამე გამერკვია და გავარკვიე კიდევ.

გამშვებზე სარკმელში მორიგე ოფიცერი უაღრესად თავაზიანი გამოდგა და დახმარების სურვილიც გამოხატა მონადინებული მოძრაობებით. მან უხმო მელოდია გადაატარა კლავიატურაზე და ასანთის კოშკის მაშენებლის სიტყვები დადასტურა: კრისი ნინა დღეს გათავისუფლებულიყო ციხიდან.

რაც ვიფიქრე ის იყო, რომ კრისმა შარლოტს მოატყუა, რათა მისი დახვედრის ღონისძიება აეცილებინა თავიდან და მშვიდად დატოვებოდა ნიუგეიტის ციხე ნინა დღეს. ამის შემდეგ პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ შარლოტს უფულო და ცივი შეტყობინება გავუგზავნი: „ის 27-ში გათავისუფლდა. ვერ ვიპოვე. უ.“

3.

ჩანთაში ფინურ არაყთან ერთად მისტერ ჯანდაბას და მისის დოზანას სულ ახალი, ბოლო გამოცემის ცალი მედო. ეს გამოცემა შარლოტის მორიგი ძალისხმევის შედეგი იყო და მივინყებულა და უარყოფილი მკვლელის გამოსაცოცხლებლად კუბაზე განხორციელებულიყო. ხოსე მარტის გამომცემლობა, ასე ეწერა. Señor

Maldición y Señora Palabrota კრისს საკანშიც ექნებოდა, შარლოტი არ დაუფიანებდა, მაგრამ მე ჩვენი ძველი ადათის განახლება მინდოდა, ნიგზე ხელი უნდა მომენერინებინა.

მოკლედ, მარტო ვიჯექი მანქანაში, რომლის გამოც ის კი იტყოდა, კიდევ ერთი სკანდინავიური გაუგებრობა დიზის ცხოვრებიდან, მე კი ფუფუნავი ნიგს, რომელიც თითქმის ზეპირად ვიცოდი და საერთოდ არ ვაქცევდი ყურადღებას შარლოტისგან აწრიალებულ ტელეფონს.

მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა ეგრეთწოდებული მურაბა დემონები არიან.

ვინმე იფიქრებს, რომ ისინი სარდაფში ცხოვრობენ, მურაბისა და ჯემის ქილებს და სხვა დიდებულ საზამთრო მარაგებს შორის სწორედ ამ გრილი ადგილიდან გამოჰყავთ ყველა ის სანვალელები კვანძი და იქიდანვე ამოქოქავენ ხოლმე მთელი იმ საბრალოდებში ჭირთა ძრავებს.

მისტერ ჯანდაბას და მისის დოზანას დემონთა წყობილებაში არცთუ მაღალი ადგილები უჭირავთ, მაგრამ საქმე არც ისეა, რომ ისინი მონა-დემონებად, ჭირის დამტარებლებად წარმოვიდგინოთ. ისინი მარჯვე დემონები გახლავან და ისეთ სა-

დაცს, რომელიც პირადად მას რაღაცით მიიზიდავს, ის ცდილობს, რომ სწორედ ამ ქალს გაუნაწილოს ყველა ის ნამცეცი შემორჩენილი ხალისისა, დიდ დემონთა ხელში გამოვლის შემდეგ რომ შერჩენია. მაგრამ რასაც მისტერ ჯანდაბისგან ნაკაუჭარი კაცი ხედავს და გრძნობს, იმ ქალში უკვე ყალბობით ნამახდენია, რადგან მის გარშემო უკვე დაუდგამს საგუშაგონი ვერაგ მურაბა დემონს.

მის ხელში მყოფ კაცს მისტერ ჯანდაბა წარუდგენს სასურველ ქალს, ვითარცა ბოლო შესაძლებლობის რაინდს, რომელიც მის ფერხთა შუა ზეციდან მოვლინებულია, თუმცა, მისი დოზანას მოქმედებათა იმედით, ნინდანინ იცის, რომ ქალის ვნება წრფელობით არასდროს დავა იქამდე, რომ ამ კაცთან მართლა სიყვარულს აღმბეჭდავი ნოლა მოუხდეს.

თანაც, მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა ის მურაბებია, რომლებიც წვრილმანებს ართმევენ ასეთ ქალსა და კაცს. შესაბამისად კი, მათ ნამდვილი შეფასების უნარს უწლუნებენ.

და შემდეგ?

რახან მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანამ ნინდანინ იციან ყველა იმ ჭრილობის შესახებ, ნინანდელ დროში უფრო დიდ დემონებს რომ მოუყენებიათ ამ განწირული წყვილისთვის და რახან ისიც იციან, რომ ეს ჭრილობები კვლავაც მწველია, ისინი ნაკვერჩხლების საკითხს წამოსწვენ ხოლმე.

მისტერ ჯანდაბას და მისის დოზანას საყვარელი თამაშის არსი ქალსა და კაცს შორის არსებული უხილავ და დამალულ სინაზეთა აღმოჩენაა. ეს სინაზენი ამორჩეულ წყვილს შორის უნდობლობისა და მორიდების გამო მალულან, მაგრამ დემონებს რა დაემალება. სანამ სინაზეთ სიკეთისა და სიხარულის მოტანა შეეძლებათ, ისინი მანამდე უნდა იპოვონ და ნაკვერჩხლებად აქციონ, ანუ სინაზემ კი აღარ უნდა ინაზოს, არამედ უნდა დასწვას.

მისტერ ჯანდაბას და მისის დოზანას აზრად ისა აქვთ, რომ ბედნიერების წყურვილი ტკვერჩხლებზე მოაქციონ. მურაბა დემონების ამოცანა ისაა, რომ მსხვერპლნი იმ მოსასხამთა შინა გახვიონ, დემონებმა რომ შეკრეს უხსოვარ დროში. მურაბის დემონების მთავარი უნარი იმას ახერხებს, რომ ქალთა და კაცთა გულებს ისეთი თვისებები გამოაფენინონ, რომელთა არსებობასაც არც კი ეჭვობდნენ.

შემდგომი ნაბიჯი თავდაცვითი მღელვარების მინიჭება და როგორც კი მსხვერპლთა ასეთი მღელვარება მიენიჭება, მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა სწორედ იმ ამბებისა და სურათებისკენ წაათრევენ მათ, რომელთა არსებობა სტკენს სხენებულ ქალსა და კაცს, თუმცა კი ორივეს ეიმედება, რომ წარსულის სურათები სიკეთით განიკურნებინან, ისინი კი არ იკურნებიან.

მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა კი ხარობენ, რახან ნინდანინ იციან, რა მოხდება.

თანდათან ქალიცა და კაციც ხვდებიან, რომ მათი ურთიერთხიბლი ყოველგვარი მომხიბვლელობისგან განიძარცვება და განაპერკლდება იმედთაგან. მსხვერპლნი მესხიერების უძლურებით მისდევენ, უშნო ნახატების მურაბა დემონები რომ უსვირინებენ. ნახატები ყოველდღიურია.

არ იფიქროთ, რომ ეს შავ-თეთრი ამბავია. პირიქით, ჭრელია. დემონები კი ისე აუნევენ-დაუნევენ სიმწვავეს, როგორც თქვენ რადიოს აუნევეთ და დაუნევეთ ხოლმე ხმას. ზოგჯერ ჩურჩულია საჭირო, ზოგჯერ ტკივილი, ზოგჯერ საერთოდაც დუმლი. მთელი ეს ჯაზი!

მისახვედრია, რომ მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა ზომა-წონის ოსტატებიც არიან. ისინი მოხერხებულად მართავენ მოახლოებულ განსვავებათა სიმკლარტებს, მერე ცოტა კარამელსაც დაუმატებენ კერძს, შეაზავებენ ხმებს, სუნთქვებს და განწყობებს ილუზიის ტკბილხმოვან მელოდიაში და იმავდროულად მცირ-მცირედ უჩინმარინად ასხურებენ შხამს ორთა უკვე ერთიან სხეულში.

თუმცა, რახან ეს საშინელი უხილავობის თამაშია, იმასაც ახერხებენ, რომ წყვილი დაარწმუნონ: ნინანდემდეგობები მათ შორის ხელოვნურია და მათ ერთი ღიმილით, სულ იოლად გადააბიჯებენ.

ჰოდა, აბიჯებენ კიდევ.

დაგიუბი

შოთა ვეკუა



ბრონეულივით დამსკდარ ტუჩებს, თეძოს, ლავინებს,
ხორკლიან სხეულს, მკერდის თავზე მზებებს ჩანურვილს,
რა დამავინყებს, ღმერთო ჩემო, რა დამავინყებს,
ყინვაჩამდგარი თვალებიდან მზერას ქალწულის.

როგორ იცვლიდი პითონივით ტყავებს ვენებიანს,
შენი თვალები მწუხრზე იყო მთვარის აკვანი,
ბებიები კი თავშელებიდან გეუბნებთან —
არ გაგეცქესო მუხლებს ზემოთ კაბის მაქმანი.

შენც ქინძისთავებს ატარებდი მუხლებს ზემოდან,
გულზე ღრუბლები, უნაყოფო, ღილად გეფინა,
მეც დღემდე მხრებზე შენი ცივი სუნთქვის გემო მაქვს,
რომელმაც სული შემასწავლა თითქმის ზეპირად.

ჰა, ხორბლისფერი თითებიდან მშვიდად ეშვები,
სიცოცხლის ფერი მოსდებიათ შენს მხრებს, ლავინებს,
თვალებს არასდროს, არასოდეს არ შეეშლები,
რა დამავინყებს შენს თავს, ღმერთო, რა დამავინყებს.

36-ს

მოვიღვარ, ვალაგებ ჩემოდნებს,
დამხვდები შენ გულ და კარლია
და თუ დამიჯერებ, ჩემო ენ,
ზოგჯერ ეს ლოდინიც კარგია.

შენ შენი თვალების ფერი ცა
გახურავს. კუპრივით წამწამებს
გავარჩევ სხვა ყველაფერიდან,
უშენოდ ვკვდები და ვცახცახებ.

უშენოდ ნისლია, ჩემო ენ,
ამ ლექსში მეორედ იშვები,
არ უნდა გადამიჩემომდე,
ხომ ხედავ, შორს ხარ და ვიფშენები.

შენ ჩემი სხეულის ნამსხვრევებს
გაბარებ. ეს სისხლიც გამიშრა
და შენგან სიცოცხლეს ნასესხებს
გაფიცვებ, ხელი არ გამიშვა.

ზაფხულის დღეების საკრეფად
ნოემბრის ქარები შემოვლენ,
ჩემს თავზე დღეს ვფიქრობ ნაკლებად,
შენზე ფიქრს ვერც ვითვლი, ჩემო ენ.

ქუჩებს დააღწა ჩვენი კოცნა მარტის თოვლივით,
მარტის თოვლივით უჩვეულოდ გამომეცხადე,
მზეზე ლიცლიცებს შენი თმები, თმები მოვლილი,
ხარ წარსულიდან ნატყვიარი დღეთა მეცხედრე.
დგება აღდგომის ეპოპეა რიგით მეცხრე დღე.

მეათე რიცხვი — პაემანი. დროს რომ შევებათ,
განვისსხლხორცაკდეთ, უნდა ლექსმა თავად ინებოს,
ჩვენ არსაიდან დავიბადეთ ხორცით ტყვეებად

და როცა სული აშრილდა, იგრძნო ლიბერო,
არა გვაშინებს, გრიგალმაც რომ წამოგვიბეროს.

როდესაც ნახავ ჩაჭედებულ ჩემში ჭრილობებს,
როდესაც სულში აბლაბუდებს დაუნყებ ნგრევას,
ვიქნები ღმერთი კალმითა და ქუდიით ჭილოფის,
ანუ იმდენად უბრალო ვარ, იმდენად მე ვარ,
შენ არ გერქმევა არასოდეს ცოლი და ევა.

ბოლოს შენს მხრებზე
წამომართულ ჯვარსაც მე ვზიდავ,
ვიცხოვრებ ხვედრით პადრების, მღვდლების, იმამის,
აქამდე წიგნის ბოლო გვერდზეც მშვიდად მეძინა
ფორმით და ფიქრით ემბრიონის, სულაც იმ მამის,
რომელსაც შვილი არ უჩნდება, ტკივა სიმართლის.

და მეც მტკიოდა ყველაფერი, ვწუხდი ჩემობით,
უჩემობიდან ამონაზარდ ტკივილს ვამჩნევდი,
სანამ ყველაზე სწორი სიტყვა დამჩემდებოდი,
სანამ კაშკაშა ვარსკვლავივით აღმოგაჩენდი.
წაგიკითხე და ნერტილივით შენთან გავეჩერდი.

ერთი შეხედვით არაფერი ხომ არ მომხდარა,
ვიცინით, ვთვრებით, ვაგვიანებთ წილად უმეტეს,
ჩვენმა შვილებმა გინებას და ლოცვას უმატეს
და გვიხარია, გაიზარდნენ. მე კი ოხრად ვარ,
რადგან ფეხებთან გუშინ ორი გვამი ოხრავდა.

ორი მეგობრის ცივი გვამი ცივი ვენებით,
შემოცვეთილი თბილი მზერით ნაცნობ სახეზე,
ავტომატურად მახსენდება თრობა, კაპეზე,
ყველა ამბავი, ისტორია სვენებ-სვენებით,
რაც გვაკავშირებს, რასაც ვევენეთ ან ვერ ვევენებით.

მე ახლა შურის თეთრი კვამლი ამდის, ძმობილო,
ამ სამყაროდან გაქცევა რომ ასე შეძელით,
უმტკივნეულოდ გაცილებენ, რადგან ენძელით.
როცა არ გინევთ ამოსუნთქვა უკმაყოფილოდ,
ყველა ტკივილი წარსულია თქვენთვის ყოფილი.

და აღარ გინევთ ნაძალადევი კითხვას — როგორ ხარ?!
ნაძალადევი უპასუხოთ — არა გვიშავს რა,
არადა, სული იარებით გადაგვიშავდა.
ჩვენ რა უნდა ვქნათ?! ეგ მითხარი ახლა ოღონდაც,
არადა, ერთ დროს აქ ცხოვრებაც ისე მოგვწონდა.

სანამ ჰაერი გახდებოდა ცრემლივით მძიმე,
სანამ ძალები გაქრებოდა ჩვენთან თავზემით,
მერე სამყარო ბავშვის თვალთ ვინით, გავზომეთ.
მერე უარი გვათქმევინეს სიმშვიდის ძილზე,
ბოლოს პრობლემებს ვკრავდით,
როგორც ნაჩუქარ მძივებს.

ერთი შეხედვით არაფერიც ხომ არ მომხდარა,
ჩვენ ისეც დავლევთ, ძველებურად დავაგვიანებთ,
ჩვენი ცხოვრება ხომ კიდია ბენზე, ლიანებს.
ეგ არაფერი, თუ ფეხებთან გვამი ოხრავდა,
დაგვაგინყდება სხვისი ჭირი, ისე ოხრად ვართ.

არის დღეები, რომ ყელში გებჯინება,
არის, როცა დღეებს თავად ებჯინები,
ადამიანები დგანან ჯებირებად —
ჯებირებად დგანან ადამიანები.

წვიმის წვეთში წყალზე მეტი ჩემი რძეა,
ჩემი სისხლია და ჩემი ნათაფლევი,
მე არ გავჩერდები, სანამ შემიძლია,
არც შენ დამინებდე, სანამ დამთავრდები.

ჯვარი ჯვარია და ცოდვა ცოდვებია,
ცრემლი ცრემლებია შვების, მწუხარების.
ჩვენთან ოცნებებიც ისევე ობდებიან,
ობლებს ღამეები სტკივით წუხანდელი.

ზეცა საბანია, ზეცა საბაბია,
შენი ნაადრევი წასვლა გაამართლო,
მაგრამ როცა სხვისი თავი გაბარია,
ნუთუ არდარჩენამ ასე გაამა თუ?!

მაინც დაგიტოვა სადღაც ნაპრალები,
მაინც უცვლელია ძველი შეპირება,
ჯებირებად დგანან ადამიანები —
ადამიანები დგანან ჯებირებად.

ნასვლა

შენ ვერ გაიგებ, ახლა რა მტკივა,
შენ ვერ გაიგებ სულის დეფიციტს,
როგორ შეძელი ასე მარტივად
წერტილის დასმა, სადაც დეფისი

ყველაზე სწორი ჩანდა ვერსია,
თუმცა ჯიუტად წასვლა არჩიე,
შენი სიტყვები რევერენსია,
რომლებმაც მე ვერ გადამარჩინეს.

არ მკითხო, რას და როგორ შეეცვლიდი,
არ მკითხო, დღეებს რატომ ვაპრავდი,
მე ამ ბოლო დროს ისე შევმცირდი,
რომ ჩემს თავთანაც დავპატარავდი.

ისე გინამე, როგორც მედინა,
ისე შორი ხარ, როგორც მექამდე,
მე სისხლისფერი უნდა მედინა
ცხარე ცრემლი შენს გამოჩენამდე...

შენ ვერ გაიგებ, ახლა რა მტკივა,
შენ ვერ გაიგებ სულის დეფიციტს,
როგორ შეძელი ასე მარტივად
წასვლა და დასმა ყველგან წერტილის?!

მე მინდოდა, გვენახა კიევი და ვარშავა,
შენ ხუმრობდი, სოფელში არ ღირს ჩასვლა სოფლიდან,
სამკურნალოდ მოგვექონდა მინდვრებიდან თავშავა,
თუმცა სათერაპიოდ ერთმანეთიც გვეყოფნიდა.

საზიარო ავეჯი, ნიგნები და კარადა,
მერე გავიზიარეთ მომავალი, უღელი,
თვალში სიზმრის ნამსხვრევით მუუბნები, კარგად ვარ,
მე კი ვგრძნობდი, კომპარი რომ გენახა წუხელი.

ვსაუბრობდით ბუხრის წინ ნაძვებსა და ჭადრებზე,
ხოლო ცეცხლში ნიფელი ნებივრობდა არც ისე,
მე მიკვირდა, ქალები რას მალავენ ჩადრებქვეშ,
ან რატომ გვეძახიან მამაკაცებს ნარცისებს?!

ჩემს ლექსებზე ამბობდი კარგს, ან სულაც არაფერს,
გეგონა, რომ ზედმეტი თავის ქება მანყენდა,
სულ სხვა რამე მამღერებს, სხვა რამ მალაპარაკებს,
თორემ ლექსი სევდაა, სად არ გადაგვანყდება.

სად არ ნამოგვეწევა, აგვამღერებს შავ-შავად,
აბა, **побачення**, do widzenia, ნახვამდის,
მე მინდოდა, გვენახა კიევი და ვარშავა,
თუმცა კი შენს თვალზე უკეთესს რას ვნახავდი.

რატომ ჩუმდები, მეგობარო, რატომ ჩურჩულებ?!
როცა სამყარო ხმაურს ითხოვს, გფლეთენ ჩაკრებად,
ხომ ვამარცხებდით სანოლის ქვეშ ადრე ურჩხულებს,
ხომ გავიზარდეთ, ჰოდა, დროა, ომში ჩავებათ.

ჯერ მომიტმინე, გაგაცნობდე სანამ პირობებს
და გადაწყვეტდე, ეს ქალაქი რატომ გეძახის,
სადაც ყოველდღე მტკვრის ორივე სანაპიროზე
დგანან ბავშვების ჯალათები, ფორმით მეძავის.

სადაც მკითხველი აღარა ყავს ბიბლიოთეკებს
და ნახევარი სამოსახლოს თითქმის გირით ვართ,
სადაც კარები ეკლესიის ისე მოკეტეს,
რომ ეს ცოდვები ქალაქებმა უნდა მიირთვან.

აღარ დავტოვოთ ყველაფერი, როგორც არის,
აღარ მოვიქცეთ, იქცეოდნენ როგორც ჩვენამდე,
თუ პირველ ცდაზე დავმარცხდებით,
ნუ იტყვი — არ ღირს, ვიბრძოლოთ ბოლო კომეტების გამოჩენამდე.

ვებრძოლოთ თუნდაც ბავშვობიდან მძიმე ურჩხულებს,
გაიხმაურე, რომ გაგიგონ ადრესატებმა,
ასე რომ, ჩემო მეგობარო, ნულა ჩურჩულებ,
დროა, შეწყვიტონ ამ ქალაქში ყფა კატებმა.

ჩვენ დავბერდებით ძალიან მალე,
შავ-თეთრ ფირებზე ჩაგვიფრენს წლები,
დავხუჭავთ ფართოდ გახელილ თვალებს,
უფრო მსხვრევადი გახდება ძვლები.
დავესახლებით ალუბლის ქალაქს
და ეს სახლები მალე მოტყდება,
გაზაფხულისთვის სიცოცხლის მარაგს
ავივსებ, სანამ ცხადში მოხდება
დღემდე ნანახი ყველა ზმანება,
გალვიძებამდე შიშს რომ მზარავდა,
და მეც იმ მოხუცს დავემგვანები,
მონბლანივით რომ გაჭაღარავდა.
სანამ მამალი სერზე იყივლებს,
მივეფიცხებით მზეს და განთიადს,
ხოლო ბუხართან ზუსტად იგივე
ამბები ცხება, ცეცხლი ანთია,
რაც იყო ჩვენი მამების დროში,
რაც გვახსოვდა და გვემახსოვრება,
ჩვენ ჩვენი წილი ვეზიდეთ დროში,
ჩვენ ჩვენი წილი ვნახეთ ცხოვრება.
ჩვენ დავბერდებით ძალიან მალე,
გადავიქცევით დროდ და რიცხვებად,
რას არ შეატყობ მოხუცის თვალებს?!
რას არ ამბობს და რას არ გიყვება?!

ზუსტად ისეა ყველაფერი, როგორც დატოვე,
დღემდე აწყვია ბუხრის პირას ფიქრების გროვა,
არც ლოდინია განაჩენი, არც სიმარტოვე,
თუ ლოდინის დროს ფეხაკრეფით ვილაცა მოვა.

მოვა და ფრთხილად გააგრძელებს
ცხოვრების ლამბვას,
სანამ შენ ნეხარ ლექსებად და სიტყვად იფშენები,
მანამ წერტილებს დაუსვამენ ყველა იმ ამბავს,
სადაც გენერა უთავბოლო კითხვის ნიშნები.

ამოიკემსავ გადატეხილ წელში თარიღებს,
დაე, ალბომი უცნაური სევდით გაივსოს,
შენ საპირწონედ ყველა ტკივილს,
სევდას გაიღებ,
რომ შენი მკერდის თავებიდან გაიმაისოს.

ყველა ხე ისხამს ყინვის შემდეგ მძიმე ნაყოფებს,
ჩადგება ქარი, უსაშველო ყინვა და თოვა,
ნაგრიგალარი ამინდებიც მშვიდად გამყოფებს,
როცა იცი, რომ ფეხაკრეფით ვილაცა მოვა.



მიხო მოსულიშვილი

ციკლიდან: სანამ დასაპალს მიმცემ...

ოლოფერნეს სინდრომი
ოლოფერნეს ჰგონია, რომ მისი მოჭრილი თავი
მონოლოგს ამბობს ივლითის სიზმარში

ჩემი დავინყების კარიბჭიდან
შენი სიყვარულის გზანჯვრილამდე
ნატვრები ისევ დამიდიან,
სანამ საბოლოოდ გამწირავდე.

ჩემი მარტოობის სახმილიდან
შენგან დაუნდობლად გარიყვამდე,
მზერით ერთხელ კიდევ გავივლი და
მერე სადაც გინდა, წამიყვანე.

ჩემი მონატრების თამაშიდან
შენი ღიმილები ავიჩემე,
ეგებ შემეშველო ამში და
ხსოვნას აღარ უნდა აბიჯებდე.

ჩემი მოკვეთილი თავიდანაც
მაგ შენს მოცახცახე ლავინამდე,
თურმე, სიყვარულმა ამიყვანა,
სანამ საბოლოოდ არ გინამე.

ჩემი ცრემლით სავსე დარდის ჭიდან
შენი მონატრების სანახამდე,
ვითომ ისეთი რა გაგიჭიდა,
ველარ მოიცადე დამარხვამდე.

ჩემი დაშორების მანძილიდან
შენი სიხარულის დაკარგვამდე,
როგორ გამოფხიზლდე ამ ძილიდან,
საკუთარ თავსაც რომ აღარ ვგავდე.

ჩემი სიყვარულის კარავიდან
შენი სილამაზის ალაფამდე,
თითქოს მოდიოდე არაფრიდან,
ცრემლსაც ჩამოხვიდე განა რამდენს...

ჩემი დავინყების კარიბჭიდან
შენი სიყვარულის გზანჯვრილამდე
ნატვრები ისევ დამიდიან,
სანამ საბოლოოდ გამწირავდე.

გზად დიდი თონეთისკან
დათია ბადალაშვილისას რომ მივიდიოდით
„ვაჟაობაზე“

ამირან არაბულს, ეთერ თათარაიძეს

გალმა დიდგორია, —
სანატრელი,
დაგვდევეს დამარცხების ანაწერად:
როცა აღარაფერს აღარ ელი,
უცებ ზეგარდმო რომ დგანყდება.

სულშიც დიდგორია, —
განაჩენით
ჩვენი ხელახალი დაბადება.
დავითის ხმალის ანახლებული
დამპყრობს დარჩენია ანათემად.

მეტი რაღა გითხრა, —
დანარჩენი...
ქონდარს შეაგროვებ ხანდახანად,
თუმცა ეს გვირილა აქაც შვენის,
ეთერს ნამოვულებ სახახავად...

ქარი წაიღებს...

ქარი წაიღებს,
ქარი წაიღებს
ღიმილს,
ცრემლების მშვენს...
ბევრიც ეცადო, —
რად? — ვერ გაიგებ, —
ქარი წაიღებს,
ქარი წაიღებს,
ქარი წაიღებს
შენც...

ქარი წაიღებს,
ქარი წაიღებს
ნატვრას,
ძველსა და მკველს.
ბევრიც ეცადო, —
სად? — ვერ გაიგებ, —
ქარი წაიღებს,
ქარი წაიღებს,
ქარი წაიღებს
მეც.

ქარი წაიღებს,
ქარი წაიღებს
დარდების
მბორგავ ზღვებს.
ბევრიც ეცადოთ, —
რად? — ვერ გაიგებთ, —
სად? — ვერ გაიგებთ, —
ქარი წაიღებთ,
ქარი წაიღებთ,
ქარი წაიღებთ
თქვენც...

შენზე, შენით, შენთვის, შენად
ეპიტაფია

ვნერდი შენზე, ვნერდი შენით
ვნერდი შენთვის, ვნერდი შენად...
შენზე, შენით, შენთვის, შენად, —
არა თავის გამოჩენად,
სულთა ჩვენთა ზღვიურ ლეღვად,
ზოგჯერ სევდად, ზოგჯერ ლხენად...

ვნერდი შენზე, ვნერდი შენით,
ვნერდი შენთვის, ვნერდი შენად...
შენზე, შენით, შენთვის, შენად, —
ვიქცეოდი გულის ძგერად,
ანდა სულაც უფლის ბგერად
და ზეციურ ჰანგთა მღერად.

ველარც შენზე, ველარც შენით,
ველარც შენთვის, ველარც შენად...
შენზე, შენით, შენთვის, შენად, —
ველარ გავიკრიფე ენად,
რადგან სამარეში ვნევარ
და სიჩუმის ურჩი ტყვე ვარ.

ველარც შენზე, ველარც შენით,
ველარც შენთვის, ველარც შენად...
შენზე, შენით, შენთვის, შენად, —
სულს მოუხმო მალღით ზენამ,
სად სამოთხეც და ძირს — ქვენაც,
ჩემთვის ორივენი შენ ხარ...

მაინც შენზე, მაინც შენით,
მაინც შენთვის, მაინც შენად...
შენზე, შენით, შენთვის, შენად, —
აქაც მარტოდენ მე ვარ
და შორეულ ნათლის ჩქერად
კვლავაც ულამაზესს გხედავ...

გკლავს შენი ნაზი ნათითურაბი

შორი ზღვებია ამოუხსნელი,
შენი თვალები — ურჩად უჩვევი,
ჩემამდე მოაქვთ შენი სურნელი...
თოვს...

სულს დაშენებდ სჭირს შენი მწუხრები,
შენით ვარ კვლავაც განუკურნელი
და ხეტილებს რამდენს ვუნდები...
თოვს...

ფიქრებიც თეთრი არის სრულებით,
ცრემლად მანჩია შენი ურევები...
მკლავს შენი ნაზი ნათითურები...
თოვს...

ამ დამთავრებულ ყოფაში, ამ მსოფლიო პანდემიის ჟამს, როცა თითქოს ყველაფერმა დაკარგა ხიბლი და საზრისი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამართული შეხვედრები მართო სასიამოვნო ან შემეცნებითი ხასიათისა კი არ არის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს და მამულ რგოლად გვევლინება ცხოვრების ყოველდღიურობაში და კარგულთ.

ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიულ 93-ე აუდიტორიაში, საზოგადოებამ ოთარ ჩხეიძის რომანი „ალმართ-დალმართი“ წარადგინა. რომანი ცალკე წიგნად 2021 წელს გამოიცა, დაიბეჭდა ქუთაისში, „ხომლის ენის“ სტამბაში, შესაფერისი დიზაინი შეურჩია თენგიზ რობიტაშვილმა, ერთვის ლია წერეთლის წერილი და როსტომ ჩხეიძის გამომხატურებები. გარეკანზე გატანილია ვახტანგ ჭელიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას (უმცროსის) ციტატები, რომლებშიც ოთარ ჩხეიძის შემოქმედების საერთაშორისო მნიშვნელობაა წარმოჩენილი.

ოთარ ჩხეიძე ერთ-ერთია იმ ჩვენთვის თავმოსანონებელ მწერალთაგან, რომელთა ნააზრევითაც შეიძლება და უნდა გავიცნოს მსოფლიომ. ეს რომანი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ოთარ ჩხეიძე ჯერ კიდევ კარგად გვაქვს ნასაკითხავი, შესასწავლი, დასაფასებელი და მერე მსოფლიოსთვის წარსადგენი და გასაცნობი იმ თავისებურებებით, იმ ხიბლით, იმ ძალითა და მადლით, რითაც აღვსილა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

„ალმართ-დალმართი“ ერთი ჭაბუკის ამბავია მოთხრობილი თავისებურად, ლამაზად, ჩამთრევად, იუმორით. ამასთან მთელი ეპოქა ირეკლება, როგორც სარკეში — მკაფიოდ, მკვეთრად. ჩამყუდროებულ, გემრიელ, მიმზიდველ თხრობას არც ცეცხლი აკლია, არც რომანტიკულობა და არც სატირული ისრები. გამოგონილი და რეალური (ეგრეთ წოდებული ფიქქენი და ნონ-ფიქქენი) თანაარსებობს და უაღრესად საინტერესო და საგულისხმო სამყაროს ქმნის.

რომანის, მისი გამოქვეყნებისა და თავდაპირველი შეფასებების შესახებ როსტომ ჩხეიძემ ისაუბრა. წიგნის მცირე ფორმატს საგანგებოდ მიაქცია ყურადღება. ჯიბის ფორმატი გარეგნულად და მოსახმარადაც კარგია და უილიამ ფოლკნერის ასოციაციასაც იწვევს — აღნიშნა. ფოლკნერს ადარებს ოთარ ჩხეიძეს კონსტანტინე გამსახურდიაც (უმცროსი). ფოლკნერს იმითაც ჰგავს ქართველი მწერალი, რომ პერსონაჟები ერთი რომანიდან მეორეში გადაიან. ქართველი და უცხოელი მწერლები ამ მხრივ ონორე დე ბალზაკისგან არიან დავალებულნი.

ახალგაზრდობაშივე გაცნობიერებული ჰქონია ბატონ ოთარს, რომ რომანთა ციკლები უნდა იწერებოდეს და ჩაფიქრებულიც ჰქონია 48 რომანის დაწერა, 24 რომანისგან შემდგარი ორი რკალი უნდა შეექმნა „ილიადასა“ და „ოდისეას“ 24-სიმღერის სტრუქტურის მსგავსად. ჩანაფიქრს მერე კი ახალგაზრდულ გაბედულებად მიიჩნევდა, თუმცა 24-რომანიანი მაცნობი ქართლისა და გვიტოვავ, ქართული ოკუპაციის საგა, და ეს უჩვეულოდ გამოიყურება იმ ფონზე, როცა ბევრ კლასიკოსს გაცილებით ნაკლები აქვს დაწერილი. თავის დროზე დემნა შენგელაიასაც დაუნუნებია ეს იდეა, ცოტას ვწერთ და დავეჯერდეთ.


დრამატული ბიოგრაფია ჰქონდა — თუმცა ციხეში არ მჯდარა, მაგრამ თხზულებათა დაბეჭდვა გაუჭირდა ძალიან. ბორის პასტერნაკის „ექიმ ჟივაგოში“ ნაჩვენებია, რომ ამ ქვეყანაში არ არის პატიოსანი კაცის ადგილი. ის, რაც 50-იანი წლების მინურულს ითქვა რუსეთში, უფრო ადრე, 20-იან წლებშივე, ეს ჩვენში თქვეს კონსტანტინე გამსახურდიამ და მიხეილ ჯავახიშვილმა. აი, სწორედ მათ ხაზს მიჰყვება ოთარ ჩხეიძე.

„ალმართ-დალმართი“ 1960 წელს დაინერა და ვაივავლახით დაიბეჭდა „ცისკარში“ 1968 წელს. ცალკე წიგნად გამოცემას კი ხელი შეუწია, რადგან „მერანში“ რეცენზენტად შოთა ძიძიგური მიუწვევიათ, ცნობილი ენათმეცნიერი, დაახლოებული, გაშინაურებული ლიტერატურულ წრეებში. და ორატორმა ჩვენ წინაშე წარმოსახა გაორებული მეცნიერისა და კაცის სახე. სხვათა შორის, სიტყვა „შინაბერა“ მას უპოვია და გაუცოცხლებია. იცავდა ვაჟა-ფშაველას ენას, სტილს... ყოფილა არაჩვეულებრივი თამადა, ახალგაზრდების მოყვარული. და ამ კაცს გამოაქვს დასკვნა, რომ ოთარ ჩხეიძე ვირტუოზი მოთხრობელია, მაგრამ რომანის დაბეჭდვა არ შეიძლება... სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული გახლდათ და, ცხადია, ითვალისწინებდა ხელისუფლების აზრს. ავტორს ენობრივ ნატურალიზმს უკიჟინებდა, კრიტიკულ პათოსს უწუნებდა, ეკლესიის და ლოცვის ხსენებას ნაკლებად უთვლიდა, კარლო კალაძის გაშარებული პორტრეტის ჩახატვას კი — დანაშაულად.

ბატონმა როსტომმა ლიტერატურული კულუარებიც ისე კარგად იცის, რომ მის მოსმენას რა ჯობია?! კარლო კალაძის

ოვია და გაუცოცხლებია. იცავდა ვაჟა-ფშაველას ენას, სტილს... ყოფილა არაჩვეულებრივი თამადა, ახალგაზრდების მოყვარული. და ამ კაცს გამოაქვს დასკვნა, რომ ოთარ ჩხეიძე ვირტუოზი მოთხრობელია, მაგრამ რომანის დაბეჭდვა არ შეიძლება... სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული გახლდათ და, ცხადია, ითვალისწინებდა ხელისუფლების აზრს. ავტორს ენობრივ ნატურალიზმს უკიჟინებდა, კრიტიკულ პათოსს უწუნებდა, ეკლესიის და ლოცვის ხსენებას ნაკლებად უთვლიდა, კარლო კალაძის გაშარებული პორტრეტის ჩახატვას კი — დანაშაულად.

ნინო ვახანია უნდა იცხოვრო და წერო სინდისის კარნახით



შესახებ რამდენიმე საგულისხმო ამბავი გვიამბო, სხვა კაცი დაგვანახა. გაიხსენა, როგორ დაჰპირდა კარლო კალაძე ოთარ ჩხეიძეს მწერალთა კავშირში რომანის განხილვაზე გამოსვლას — სიცილით უთქვამს: ჯერ ამ პურს შევხარამუნებ (ხელში რომ ეჭირა), მერე ტრიბუნასთან ოთარს შევხარამუნებო — და აღსრულებია კიდევ. გაცილებული ვახტანგ ჭელიძისთვის კი აუხსენია, ოთარი კი მიყვარს, მაგრამ პრეზიდენტში შეყვანას დამპირდნენო და...

მომხსენებელმა კალაძის ლექსებიც ახსენა — ბერიასადმი მიძღვნილიცა და ანტისაბჭოურიც. ყოველგვარი სიბრზის გარეშე — მომეჩვენა, სიყვარულითაც კი მოგვიტოვებდა უკვე ჩავლილ, თუმცა არ დავიწყებულ ამბებზე.

ოთარ ჩხეიძის სტილისტიკისთვის დამახასიათებელია რეალური ადამიანების გამოყვანა რომანებსა და მოთხრობებში პერსონაჟებად. ბევრს, პროტოტიპს, არ მოსწონდა საკუთარი თავი თხზულებაში, ბევრი გადაკეთებდას, შერბილებდას თუ სულაც ამოღებდას ენუკვოდა, მაგრამ მწერალი ცოცხალ ტიპს ხელიდან როგორ გაუშვებდა?! აკი მიხეილ ჯავახიშვილიც ემუქრებოდა მავანთ, კალმის წვერზე მიხიხართო. ბატონმა როსტომმა ისეთი რამ თქვა, რაც ახალგაზრდებისთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა: საბჭოთა ეპოქაში ნანერში არ შეიძლებოდა ჟარგონის გამოყენებაო, ისევე, როგორც არ შეიძლებოდა პოეტის თამაშის აღწერა. ამასთან დაკავშირებით გაიხსენა მურმან ლებანიძის შესანიშნავი ნოველა „დიდი პულკა“, რომელიც მაშინ არსად დაბეჭდილია, მოგვიანებით კი ოთარ ჩხეიძეს გამოუცია დაწუნებული მოთხრობების ანთოლოგია და იქ შეუტანია ეს შედეგებიც.

ჟარგონით მწერალი დიდად იყო დაინტერესებული, სტუდენტებს ავალებდა ჟარგონისა და მეტსახელების შეგროვებას, არქივში ინახებდა მთელი ლექსიკონი იმჟამინდელი ჟარგონისა. უჩვეულო იყო ჟარგონის გამოჩენა სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ვახტანგ ჭელიძემ გამოიყენა თარგმანებში და ძალიან უხვად — დალი ფანჯიკიძემ. ლევან ბრეგვაძემ ჟარგონის ლექსიკონში, ცხადია, ბლომად შეიტანა მაგალითები ოთარ ჩხეიძის რომანებიდან.

„ალმართ-დალმართის“ მთავარი გმირი ლენტო პირველად გამოჩნდება რომანში „ჯებირი“, სადაც დახატულია, თუ როგორ ვერ ჩერდებიან ახალგაზრდები სოფლად და ქალაქში ჩამოდიან. მერე ამაზე დაწერა ოტია იოსელიანიმა პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“, რისთვისაც დიდი ქება დაიმსახურა. მან კი, როგორც პატიოსან-

მა კაცმა, თქვა, მე იმისთვის მაქვთ, რისთვისაც ოთარ ჩხეიძე ჩაქოლეთო... ლენტო მერე მთავარი გმირია რომანისა „გამოცხადება“, რომელშიც 9 მარტის ამბებია ასახული.

როგორც ეჭვი მაქვსო — თქვა ბატონმა როსტომმა — ლენტოში ოთარ ჩხეიძე ხატავს თავის თავს, როგორი იქნებოდა, ვინ იქნებოდა, შემოქმედებითი უნარი რომ არ ჰქონოდა. ისევე, როგორც ლუარსაბ თათქარიძეში ილიამ საკუთარი თავი იგულისხმა და თეიმურაზ ხევისთავით მიხეილ ჯავახიშვილმა წარმოსახა ავტოპორტრეტი.

„ცისკრის“ პირველ პუბლიკაციაში წაშლილია ეპიგრაფად გატანილი გალაკტიონის სტრიქონები, სხვა დეტალებშიც იგრძნობა ცენზურის ჩარევა, რაც წიგნად გამოცემისას აღდგა.

რომანში რამდენადმე ავტობიოგრაფიული ამბებია გადმოცემული. თინა კველიშვილში თინა ჯიბლაძეა ნაგულისხმევი, რომელიც ტუბერკულოზით გარდაიცვალა და რომელსაც ანა კალანდაძე უძღვნიდა ლექსებს. სხვათა შორის, მთამსვლელობის შესახებ პირველი მოთხრობა „ვერუნიო“ ოთარ ჩხეიძემ დაწერა, მერე ძალიან პოპულარული თემა ჩვენს ლიტერატურაში. რომანში ჩართულია იაკურა გეკაის ჰაიკუ, რომელიც არ ვიცით, მართლა ნათარგმნია თუ ლიტერატურული მისტიფიკაციაა. ეს კია, რომ — როგორც ლევან ბრეგვაძემ მიაქცია ყურადღება — პირველი ჰაიკუა ჩვენს მწერლობაში. თუ თარგმანია, ავტორი უსწრებს თამაზ ჩხენკელს, თუ საკუთარია, უსწრებს ირაკლი კაკაბაძეს (იაკი კაბეს).

რომანი ცოცხლად იკითხება, ძალდაუტანებლად. მასში გამოშვლებულია მაშინ-

დელი რეალობაც, ჩვენი დღევანდელია და მომავალიც ილანდება.

არ გვინდოდა, რომ ორატორს საუბარი დაესრულებინა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ტრიბუნასთან ახლა სხვა მივიდა.

ღია წერეთელმა, ბოლოსიტყვაობის ავტორმა, გაიხსენა გასული საუკუნის 90-იანი წლები, როცა დისერტაციას წერდა ოთარ ჩხეიძის შემოქმედების შესახებ. მაშინ ხშირი ურთიერთობა ჰქონია მწერალთან, რომელთან საუბრები დღესაც ცოცხლად ახსოვს, დღესაც ამხნევეს ბატონი ოთარის მაშინდელი განწყობა თუ შეგონებანი. მხოლოდ იმას ნანობს ქალბატონი ლია, რომ ახალგაზრდული დაუდევრობის გამო მეტი არ ჰქოთხა, მეტი არ ჩაინერა დიდი მწერლისა და დიდი ადამიანისგან.

სასიამოვნო მოგონებად შემორჩენია იმ ბნელ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) პერიოდში ისეთ ნათევი კაცებთან საქმიანი ურთიერთობა, როგორებიც ოთარ ჩხეიძე, ჯონდო ბარდაველიძე, ზვიად გამსახურდია იყვნენ.

მსმენელნი შეგვზარა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის იმ დარბაზის წარმოდგენამ, სადაც მეცნიერები გათიშულნი, გაყოფილნი იყვნენ: ერთი, მცირე ნაწილი იგლოვდა ზვიად გამსახურდიას აღსასრულს, მეორე, უფრო მოზრდილი ნაწილი — ზეიმობდა.

არც ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას უყურებდა ყველა ერთნაირი თვლით და დისერტაციის დაცვის დროს ანეკდოტური ამბების მოყოლასაც არ ერიდებოდა თურმე სადისერტაციო საბჭოს ზოგიერთი წევრი.


მე საოცარი შემართებითა და ახალგაზრდული სიჯიუტით მაინც არ მოვეშვი ოთარ ჩხეიძის შემოქმედების შესწავლას — ბრძანა ქალბატონმა ლიამ, ზოგმა კი მაშინ გულწრფელად გაიკვირვა, ნუთუ მართლა მწერლის ყველა თხზულება აქვს ნაკითხული დისერტანტსო. აი, ასეთი ამბები ხდებოდა...

იმ შორეულ 90-იანებში, როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, ოთარ ჩხეიძემ გადაარჩინა სულიერად და ახლაც, ამ საყოველთაო პანდემიის დროს, ისევე მისი თხზულება — „ალმართ-დალმართი“ — მოვლენია მხსნელად.

ქალბატონმა ლიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ რომანი აქტუალურია დღესაც, და საინტერესოდ ისაუბრა პერსონაჟების ხასიათების, დიალოგების ცოცხლად წარმართვის ხელოვნების, პეიზაჟების, მწერლის მიერ ეპოქის დახატვის უნარის, ქვეტექსტურად გამჭვირვალედ ნაგულისხმევის, ავტორის სტილის თავისებურებათა შესახებ.

შემდეგ სიტყვა ახალგაზრდა კაცს, კარგ მკითხველს, თვითონაც შემოქმედს, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტ დავით სახელაშვილს დაეთმო.

მანამდე კი მე ვთქვი, რომ ოთარ ჩხეიძე ყველა თაობისთვის ერთნაირად საგულისხმო და მიმზიდველი მწერალია. მართალია, რომანში საბჭოთა ეპოქა ასახულია, მაგრამ არის ისეთი გარემოებანიც, რაც არ იცვლება დროის მდინარეებსა თუ სახელმწიფო წყობის ცვლასთან ერთად. რო-



მანში ვხედავთ საზოგადოებას, სადაც ნამდვილი ღირებულებები გაუფასურებულია. სიყვარულს, ნდობას, სიკეთეს ფასი არ ადევს, ხოლო ფულის მკეთებელი კაცის, „ბუდოგის“ შეფასებით, რაც რიცხვებით არ აღნიშნულა, ის არც არსებობს. ხორციელსულიერის დაპირისპირება ერთ-ერთია იმ საკითხთაგან, რაც მუდმივად თან სდევს ადამიანურ არსებობას ჩვენშიც და სხვაგანაც.

სადღეისოდ დანერგულს ჰგავს ძმობის ფიცი და სადღეგრძელო იმ ადამიანთა მიერ ნათქვამი, რომელთაც ძმობა არ იცინა, არამედ — მხოლოდ საქმოსნური გარიგება. ძველი თბილისი ისეა გაცოცხლებული, თითქოს იოსებ გრიშაშვილის „ლიტერატურულ ბოჰემას“ კითხულობდნენ ან გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზებს“. გრიგოლ ორბელიანის დასამახსოვრებელი პორტრეტი ჩახატა ოთარ ჩხეიძემ „რომანსა და ისტორიაში“, ოღონდ იქ ჯინჯილებით მკერდ-დამშვენებულ პოეტს ვხედავთ, აქ კი სიყვარულის, ღვინის, ემყის მოტრფიალედ მოჩანს. საინტერესოა, არა, რომელ ღვინოს სვამდა გრიგოლ ორბელიანი? პასუხს ავტორი გავცემს პერსონაჟის პირით: რა თქმა უნდა, ნინანდალურს. ნინოს ემხით, აბა, სხვა რომელსო?!

ეს არ არის საკვანძო ეპიზოდი რომანში, მაგრამ ყოველი ასეთი მიგნება დიდ სიხარულს განაცდევინებს მკითხველს.

რომანის პერსონაჟები სვანეთის ერთ-ერთ მწვერვალზე აღიან, თუმცა მთავარი მაინც ის მწვერვალია, საკუთარ სულში რომ ძლევს ადამიანი. ანდაზები, ფრაზეოლოგიზმები, ხალხური მეტყველებიდან შემოტანილი სიტყვები, უარგონი... ქმნის უცნაურ და მომავალდობელ სამყაროს, რომელმაც თუ ერთხელ მიგიშვა ახლოს, მეერ ველარც გამოეხსნება.

დავით სახელაშვილი ის კაცია, რომელიც უკვე მოექცა ამ ჯადოსნური სამყაროს ტყვეობაში. მან „ჯებიროში“ ავტორის თხრობა შეადარა ცეცხლის დასანთებლად მზადებას. ჯერ ფიჩხის შეგროვებით რომ იწყება, დანყოფა-გასწორებით გრძელდება, ასანთის მომარაგებას, ნავთის დასხმას, როგორც აუცილებელს, გულისხმობს, იქნებ ქარის მიმართულების განსაზღვრასაც და მერე ერთბაშად დაინთება და ისეთი ძალით გიზგიზებს, რომ რაღა.

„აღმართ-დაღმართ“ კი, მისი თქმით, პირდაპირ ცეცხლით იწყება (ჩანს, შეეჩვიოთ ოთარ ჩხეიძის სტილს და საკმაოდ ცოცხალი იქნება მისი). ყურადღება მიაქცია იმას, რომ აღმართი და დაღმართი ერთი და იგივეა და ლენტო და ფარნაოზიც, შესაძლებელია, ერთი იყოს, ერთი ადამიანის სხვადასხვა ნახსენები. აბელისა და კაენის ძმობაც დაიმოწმა მსჯელობაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი გაიხსენა, ბატონების შინ არყოფნის მომიზეზებით კარს რომ არ უღებდნენ.

ავტორის სათქმელი კი ასე გადმოსცა: ნეროს და იცხოვროს არა ისე, როგორც სხვებს უნდათ, არამედ ისე, რომ სინდისს, ღმერთს ადამიანში ტალახი არ წასცხოს... ლიტერატურის ცოდნით, ინტერესით, სიყვარულით მოხიზლა დავითმა მსმენელი და გულწრფელი ტაშიც დაიმსახურა.

შემდეგ ვახტანგ ბახტაძე დაინტერესდა, მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში თურუსეთში აღარ იყო ისეთი სისასტიკე ხელისუფალთა მხრიდან, რატომ იყო ჯერ კიდევ ასეთი წნეხი საქართველოში? რაზეც ბატონმა როსტომმა უპასუხა, რომ რუსები თავიანთ დისიდენტებს მაინც პატივს სცემდნენ, თუნდაც გარდაცვალების შემდეგ, არ იმეტებდნენ მათ, სხვა ხალხებისთვის კი სხვა საზომი და სტანდარტი ჰქონდათ. ჩვენში გრიგოლ რობაქიძის ბექდვა კი არა, ხსენება რომ არ შეიძლება, იქ ივან ბუნინის აფასებდნენ და ნაშრომებიც იწერებოდა მასზე.

ლალი მიქაძემ შესთავაზა ორატორს, დაენერა წიგნი იმის შესახებ, თუ რა ხერხებს იყენებდნენ საბჭოთა ეპოქის მწერლები ანტისაბჭოური აზრების გასაპარებლად თხზულებებში.

ჩემს ნაწერებში სხვადასხვა ადგილას ამ საკითხზე ხშირად მაქვს საუბარი — უპასუხა ბატონმა როსტომმა, თუმცა იდეა მოინონა, შეიძლება, ყველაფერს ერთად მოვუყარო თავი და ერთი წიგნი ამ თემაზე დავწერო. არ უთქვამს, მაგრამ, მგონი, იგულისხმა, თუ მოვიცლიო, და ნეტა მოიცლის? მკითხველი კი მისგან სიახლეს სულ ელოდება და ელოდება...



მარი სადღობელაშვილი

გუდამაყრელი მინდია

ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთე-ბოროტების მარადიული სამანი უდევს გულთაბოძად გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით მეგვიდრობას.

დღეს გოდერძი ჩოხელზე, გუდამაყრელ მინდიაზე, წარსულ დროში გვიხდება საუბარი. „ორ კითხვის ნიშანს“ — სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ჭიდილი სიკვდილის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ რატომ გამარჯვებით?! „კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება, ხოლო თუ მოკვდება, აბა, რასილა უნდა ემინოდეს, სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა“.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობებისა თუ რომანების გმირები გუდამაყრელები არიან. ავტორის სიტყვით, „გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია, მთები ყდებად აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა სწერიან. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან, ვზივარ ჩემთვის, გადამილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ“. ჩვენ კი გულდასმით ვუსმენთ მწერლის მიერ მოხატვრულ უცნაურ თავგადასავლებს ნაძვად, ირმად, თევზად ქცეული ადამიანებისას და თითქოს გვჯერა კიდევ, რომ ჩვენს ყოფაშიც შემოაბიჯებს მხარზე ნაძვამოსული ადამიანი.

გოდერძი ჩოხელის გმირები თავიანთი გულუბრყვილობითა და მიაშიტობით გვიხიზნავენ, გულუბრყვილოა ბათულა ჩოხელისა და შულლიანთ მახარას შორის ყვავის გამო ამტყდარი დავა...

გუდამაყრის ბინადრები არიან დევგარეული და ბიბლაი, რომელთა ლიტერატურული პროტოტიპებია ჩიოკი და ჩიოტიკი. დევგარეულის, მეტისმეტად კეთილი და უბოროტო ქმნილების, ანტიპოდა ბიბლაი, ეს ნაცარქექისასავით ტანჩია, მაგრამ ცულლუტი და მოხერხებული კაცი, რომელიც მუდამ კრიჭამ უდგას დევგარეულ დევ-კაცს. მათ შორის არსებული „უბოროტო“ ქიშპობა სავალიად მთავრდება, დევგარეული ეწირება ბიბლაის ხრიკებს, თუმცა ბიბლაი მეტოქის გარეშე უფერულად და უღიმღამოდ აგრძელებს წუთისოფელს.

ჩოხელის გმირები ნილაზს ვერ ირგებენ და ვერც პირფერობას იტანენ. ისინი ზედმეტად მიაშიტები და ახალმოზილივით უსუსურები არიან. არადა, თუკი თამაშს შესთავაზებენ, იმდენად ირგებენ როლს, რომ უჭირთ ხოლმე რეალობაში დაბრუნება. მთავარი როლის შემსრულებელი ხეჩო ირმად ყოფნამ იმდენად გაიტაცა, რომ ლამის ირმად იქცა.

ლუკმა-პურისათვის, დღიური საზრდოსათვის მშრომელ გამიხარდაის ადამიანთა უსამართლობამ და დაუნდობლობამ ათქმევინა უარი ცოლ-შვილზე, ადამიანად ყოფნაზე და თევზობა ირჩია, მაგრამ თევზთა შორისაც არსებობენ მჩაგვრელი და ჩაგრული და ვერც ეს თავშესაფარი გა-

მოდგა უსაფრთხო გამიხარდასთვის, მგლური ყოფნის მორიგი მსხვერპლისათვის, რომლის უბედურებამ კიდევ ერთხელ შეკრა და გააერთიანა გათითოვებული სოფელი.

ადამიანის მეტამორფოზი სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. მხარზე ნაძვამოსული ბერი გრძნობს, რომ ფესვები მინაში უდგას; გრძნობს, რომ ყველასგან გამორჩეულია. გაოცებული თვითმზილველი კითხვებით ავსებენ დაუჯერებელ ანაქრონიზმს — ნაძვკაცას: „თუ მინაზე დაიბადე, რატო შენც ჩვენსავით ფერს არ იცვლი, შენიანებს სიარული არ შეუძლიათ, შენ კი დადიხარ, სადაც მოგესურვება, იქ დგები, თან არც ჩვენსავით ფოთლები გაქვსო“.

მინაში ფესვგართხმულმა ნაძვადქცეულმა ბერმა სიცოცხლე ადამიანისა განვლო და მოაპოვა სიცოცხლე მარადმწვანე, უჭკნობი ხისა და ეს ადამიანისთვის დაუჯერებელი მოვლენა სულაც არ არის მოულოდნელი მწერლისათვის, რამეთუ „ყველაფერი ღვთის ნილია და ყველაფერში ღმერთი სულდგმულობს“.

ბერის მიერ მოპოვებული ხელახალი სიცოცხლე გოდერძი ჩოხელის იდუმალი ნატვრაა, რომელიც მისსავე სიტყვებით ხდება საცნაური:

„როცა ჩემს თვალებს
ცის ნათელი დაეკარგებათ,
როცა ჩამოვლეე ჩემ წილ სანუთროს,
როცა ჩემ მუხლებს
შენზე დგომა არ შეეძლებათ,
როცა ჩავქრები,
სამძღვროს იქით რომ გადავხდები,
გაიხსენი,
გაიხსენი ეს საკინძე და მიმილე,
მიმილე და შემინახე... დედაო მინაე!“

გოდერძი ჩოხელი, განგებისაგან გამოჩნეული უნარით დაჯილდოვებული მწერალი, ებასება გუდამაყრის წარმტაც ხეობას; ბუმბერაზ მთებს, რომლებიც წყლის დასალევად ჩამოდიან ხოლმე არაგვზე; ამეტყველებს უტყვე არსებებს, რომელთაც ადამიანებზე თაღუთ სიყვარული, თუმცა ზოგჯერ ადამიანებსაც აჭარბებენ თავიანთი „ადამიანურობით“. მწარია მექობაურის ცოლზე გულმეგობრული დათვი თავის უცნაურ სიყვარულს ველური ყვავილების თაიგულში აქსოვს. შულლიანთ გიგოლასთან შეკედლებული ღვთის ქათამი კი მარტოობას უქარვებს და ლუკმაპურის აჭმევს პატრონს, რომელმაც ბედნიერება ფულზე მიყიდა უმადურ ადამიანეთს.

ადამიანეთი მართლაც რომ უნდაო, მაგრამ დედაბუნება ზედმინეწვით სამართლიანი და ადამიანის მიერ ჩადენილ ავკაცობას ცოდვა-მადლის ცოცხით გვის და ალავებს. ტყის ქათმის დედური ინსტინქტი უფრო გამძლე აღმოჩნდა გულქვა ადამი-

ნის სულმოკლეობაზე, რომელმაც ბუდელან აართვა კვერცხები უღონო ფრინველს.

„რატომ ეჯავრებათ ძაღლებს მგლები და უფრო ერთგულნი არიან ადამიანის, ვიდრე ადამიანები ერთმანეთის მიმართ“ — განა კი იმსახურებენ ადამიანები ამ ერთგულებას? რა თქმა უნდა, იმსახურებენ, რამეთუ სიკეთე ბოროტების გარეშე ისეთივე უფერულია, როგორც კუმტი ღამე მთვარის გარეშე. ამქვეყნად კეთილი და ბოროტი გვერდიგვერდ თანაარსებობენ. კითხვაზე: „ბოროტება უნდა იყვეს თუ არაო“ — გუდამაყრელი მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხობს: „მამ, როგორ? სიკეთეს უმისოდ ფასი აღარ ექნებოდაო“.

ჩოხელის ნაწერებში გამუდმებულ ჭიდილში არიან სიკვდილი და სიცოცხლე. უთანასწორო ბრძოლა ხშირად მთავრდება კეთილზე ბოროტის მეუფებით, სიცოცხლეზე სიკვდილის გამარჯვებით, მაგრამ ეს ერთგვარია ხერხია მწერლის იმისათვის, რომ სიკვდილის გამარჯვების ჩვენებით მკითხველს უფრო მოაწყუროს და შეაყვაროს სიცოცხლის მარად მდინარი წყარო.

ნაწილიანი ჩაჩაი სიკეთის მსახურებამ დარდების შემგროვებლად აქცია. დადიოდა კარდაკარ ჩაჩაი და ადამიანთა დარდებს იწერდა და აგროვებდა, მერე კი დარდებით დახუნძლული ხალთა ღმერთთან „წაილო“. დარდების შემგროვებელი მწერლის ბავშვობაში მართლა დადიოდა თურმე სოფელ-სოფელ და ადამიანებს სადადებდეს ეკითხებოდა თურმე. მწერალი გულდაწყვეტილ დასძინს: „ახლა აღარც გუდამაყარში დადის დარდების შემგროვებელი, აქ ხომ არც აღრე დადიოდა... დავივართ დარდით საესეები“.

ცოდვა-მადლის ჭიდილის, სიკეთისა და ბოროტების შერეობის ასახვის მხატვრულ მცდელობას წარმოადგენს მოთხრობა „სამანს იქით დასახლებულნი“. საფიზნოში მჯდარი თემის კაცნი სანყაოთი ზომავენ ადამიანურ ქმედებებს, მსჯავრიც გამოაქვთ და ცოდვილებს სამანს იქით ასახლებენ. ჩვენს თვალწინ გაიღვავებს მთელი გალერეა შემცოდეთა: შვილის მკვლელი მამა, სულმოკლე დედა ზითანდარი, მექალთანე შიო, ქურდი გიგოლა, ზარმაცი ბიბლაი, თემის კაცზე გამიჯნურებული გულქანი და მათი ისტორიები გვამცნობენ, თუ როგორ მრავლდება საკაცეთში ცოდვა.

გოდერძი ჩოხელის მთელი შემოქმედება და ამქვეყნად არსებობა სიკეთის მსახურებად შეიძლება, მივიჩნიოთ. ანდერძით უღერს სიტყვები ბუნების უნის მცოდნე მწერლისა: „ეცადენით, სიკეთეს ემსახუროთ სიკვდილამდე და სამანს აქეთ იცხოვროთ და დაიმარხოთ“...

1959 წლის 12 მარტს, თვითმკვლელობამდე ხუთი დღით ადრე, გალაკტიონი დილაადრიან მივიდა ცნობილ მხატვართან, კორნელი სანაძესთან და დაჟინებით მოსთხოვა, რამდენიმე წლის წინ დაწყებული პორტრეტის — „მე და ლამის“ — ხატვა საჩქაროდ დაესრულებინა.

მხატვარმა უცნაურად აღელვებულ პოეტს მოუბოდიშა, აუხსნა, რომ ძალიან დაკავებული იყო და მომდევნო დღეს მისვლა შესთავაზა. გალაკტიონმა მტკიცედ განუცხადა — არა! თუ მხატვარ, დამხატვე, თუ არა და, მეტი არასოდეს არ მოვალ!

პოეტის კატეგორიული მოთხოვნის გამო კორნელი სანაძემ ხატვა დაიწყო. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა ეტიუდი დაასრულა, გალაკტიონი ნამოდგა, ნახატს დააკვირდა, მოეწონა, შემდეგ მხატვარს ნაუკითხა ლექსი „ეს იყო წინათ“, გადაეხვია და წავიდა. გალაკტიონის ეს ვიზიტი კორნელი სანაძესთან უკანასკნელი აღმოჩნდა.

როცა მხატვრის მონათხრობს ეცნობი, შეუძლებელია, არ აგეკვირვებო, რომ აფორიაქებული გალაკტიონი საბედისწერო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადებოდა. უცარი შერიგება კორნელი სანაძესთან, ვისზეც მთელი სამი წელიწადი განაწყენებული იყო, კატეგორიული მოთხოვნა „თუ მხატვარ, დამხატვე“ და შემდეგ თითქოს ბავშვური მუქარა „მეტი არასოდეს არ მოვალ“, 1959 წლის 17 მარტის ტრაგედიის ფონზე, ავისმომასწავებლად აღიქმება. თუმცა მთავარი ამ ეპიზოდში მაინც ის ლექსი მგონია, რომელიც პოეტმა კორნელი სანაძეს ნაუკითხა.

„ეს იყო წინათ“ — გენიალური ხუთსტროფიანი უსათაურო — დღეს გალაკტიონის ავტოგრაფიად არის მიჩნეული:

*ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
რაც გახსენება გულმა არ ჰგუბოს —
მაინც მოვიდა ვიღაც გვირგვინით
და შენს უბრალოს აშვენებს კუბოს.*

*მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალემა,
თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.*

*მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიხიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.*

*მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგ ზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.*

*მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს —
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.*


1959 წელს, გალაკტიონის თვითმკვლელობისთანავე, ითქვა, რომ პოეტმა უკანასკნელი გზა ამ შედევრით გაინათა (გურამ ასათიანი), ოდნავ მოგვიანებით კი ლექსი სიკვდილთან საოცარი სიმშვიდით შეხვედრის უდიდეს ადამიანურ დოკუმენტადაც მოიხსენიეს (გიორგი გაჩეჩილაძე).

„ეს იყო წინათ“ 1956 წელს დაინერა და ავტორის სიცოცხლეში ერთადერთხელ გამოქვეყნდა — 1957 წელს, თხზულებათა რეკომენდების ბოლო ტომში.

იმ დროისათვის, როცა გალაკტიონის ეგრეთ ნოდებული ავტოგრაფიანი დაინერა, გენიალურ პოეტს შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მისი უნიკალური მისია უკვე შესრულებულია, რომ მან, ისევე როგორც რუსთაველმა, მთელი ეპოქა შექმნა — „ეპოქა დიდი, გალაკტიონის“ და მშობლიურ მთაზე ხელთუქმნელი ძეგლიც აიგო. პოეტის განწყობილებებს 1950-იანი წლების არაერთი ტექსტი ცხადყოფს, მათ შორის, სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსი „ეპოქა გალაკტიონისა“. გავიხსენოთ ისიც, უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1940-იან წლებში, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ რომ დაინერა, შედევრი, რომელიც გალაკტიონის ჭეშმარიტი „ძეგლი და ანდერძი“ (თემურაზ დოიაშვილი).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ალბათ, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ასაკში შესულ პოეტს, ცხოვრებით გადაღლილსა და მარადისობაზე მოფიქრალს, ავტოგრაფიანი შეექმნა.

და მაინც, არის ერთი გარემოება, რომელიც ამ პირობების მიმართ რაღაც ეჭვს



**ნათია
სიხარულიძე**

მარადისობის თავშესაფარში

ბადებს: „ეს იყო წინათ“ გალაკტიონისათვის უჩვეულო სიზუსტითა დათარიღებული — მითითებულია არა მხოლოდ წელი, არამედ — თვე და რიცხვიც: 1956 წლის 15 მარტი. თარიღის ასეთი კონკრეტულობა ინტერესს იწვევს: რა უნდა მომხდარიყო 1956 წლის 15 მარტს?

გალაკტიონის ბიოგრაფიიდან და პოეტის შესახებ არსებული მოგონებებიდან ამ დღის შესახებ განსაკუთრებული არაფერია ცნობილი. აღნიშნული პერიოდის ჩანაწერები და დღიურები, სხვა წლებისგან განსხვავებით, სიუხვით არ გამოირჩევა. ფრაგმენტული ჩანაწერებიდან მხოლოდ ისაა ცხადი, რომ 1956 წლის თებერვალში გალაკტიონმა „მშვიდობის ნიგნი“ გადასცა მბეჭდავებს და აპრილამდე პოემის ტექსტს ამზადებდა გამოსაცემად. 15 მარტით დათარიღებული ჩანაწერი მის უბის ნიგნაკებში არ ჩანს.

ამდენად, ბიოგრაფიულ-დოკუმენტური მასალის მიხედვით, შეუძლებელი აღმოჩნდა იმ კვალის მიგნება, რომელიც ავტოგრაფიის რაიმე ფსიქოლოგიურ იმპულსზე მიანიშნებდა. გვრჩებოდა ერთადერთი გზა — დაკვირვება ავტოგრაფებზე.

ლექსის ორი ხელნაწერიდან ერთ-ერთში ნაწარმოების სათაურია „უბინაო პოეტის ხსოვნას“. აქ ტექსტი ბევრად ვრცელია — ჩვენთვის საინტერესო სტროფებს წინ უძღვნის შემდეგი სტრიქონები:

*უბოროტესი მრხეველი რიდის,
შავი ზღვის პირას ხე იდგა მრუდე,
მაგრამ ტოტებში უცნობი ჩიტის
შენ შეამჩნიე ლამაზი ბუდე.*

*სთქვი: ჩიტსაც კი აქვს თავისი ზღუდე!
მე კი მოხეტე კიდითი კიდით
ისევ უცნობ გზებს უნდა გავუდგე,
თუმცა არ ვიცი, ეს გზა სად მიდის!*

*ჩიტსაც ხომ ბუდე აქვს საკუთარი,
თავშესაფარი, ნავთსაყუდარი,
არემარეს რომ ასე დაშვენდა.*

*და მე კი, მართლაც საკვირველია,
ათი წელია, ოცი წელია,
ერთ ქოხს ვაშენებ და არ აშენდა!*

ამ ტექსტის შემდეგ, რომელსაც სონეტის ფორმა აქვს, პირდაპირ, ყოველგვარი ინტერვალის გარეშე, გრძელდება: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ“ და გალაკტიონის შედევრი მცირე ცვლილებებით მეორდება. ავტოგრაფისეული ტექსტის პირველი ნაწილი, რომელიც მკვეთრ კონტრასტს ქმნის მის მეორე მონაკვეთთან (ამქვეყნიური უბინაობა — მარადისობაში სამუდამო თავშესაფრის დამკვიდრება), ივან ბუნინის ცნობილ ლექსს ეხმიანება, რასაც პოეტის სხვა ხელნაწერიც ადასტურებს; თუმცა ისიც ნათელია, რომ რუსი მწერლის ნაწარ-

მოების საწყისი ფრაზით — „У ПТИЦЫ ЕСТЬ ГНЕЗДО“ — შთაგონებული ტექსტი გალაკტიონის ცხოვრების ბოლო პერიოდის მძიმე ყოფაზე აშკარა მინიშნებებსაც იტევს: ბევრს ახსოვს თბილისის ქუჩების, ბაღების, სასადილოების მუდმივი სტუმარი — მიუსაფარი, უბინაო გალაკტიონი, რომელსაც „შინ“ დაბრუნებას ყველაფერი ერჩივნა. უთქვამს კიდევ ერთი ნაცნობისთვის: სამი სახლი მაქვს და არცერთში ჩემი ადგილი არაა, ახლა აფხაზეთში ვაშენებ სახლს და იქ დავმკვიდრდები. მართლაც, სიცოცხლის ბოლო მონაკვეთი სოხუმის სახლის მშენებლობას შეაღია. ალბათ, ამ დაუსრულებელი მშენებლობის გამოძახილია ხელნაწერისეული სტრიქონები: „ზღვის პირად... ერთ სახლს ვაშენებ და არ აშენდა“.

ეს ცხადყოფს, რომ ყოფილი პრობლემებისგან შეწუხებული, საკუთარი პოეზიის მნიშვნელობის შესანიშნავად მცოდნე პოეტი თავს მარადისობაში დაბინავებით იზუფებდა. როგორც ჩანს, ამქვეყნიურმა მიუსაფრობამ ზეციურ თავშესაფარზე ფიქრი გაუმძაფრა, საამსოფლო ნარუმატებლობებს მარადისობაში დამკვიდრების იდეა დაუპირისპირა, საკუთარი ანმყო მთავლის სიმადლიდან დაინახა და შეაფასა. სწორედ ამიტომ ამ ვრცელ ტექსტს სათაურიც შესაბამისი დაარქვა: „უბინაო პოეტის ხსოვნას“. ამ სახელწოდების მიხედვით ლექსი უკვე პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველგვარი დამატებითი განმარტებების გარეშე, აღიქმება ავტოგრაფიად.

შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერისეული ვრცელი ტექსტის გათვალისწინების შემდეგ, მეტ-ნაკლებად გასაგები ხდება პოეტის ის განცდები, რამაც მას „ეს იყო წინათ“ უკარნახა.

თუმცა ლექსის მეორე, თარიღიან, ავტოგრაფზე დაკვირვება მკვეთრად ცვლის ნარმოდგენას ლექსის შთამავრებელ იმპულსზე. ამ ხელნაწერში ტექსტი ოთხსტროფიანია: ნარმოდგენილია ძირითადი ტექსტის II-V სტროფები უმნიშვნელო ცვლილებებით და წინა ხელნაწერისაგან განსხვავებული სათაურით: „არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი“.

ავტოგრაფის შესწავლისას ყურადღება მიიქცია გულდასმით გადახაზულმა სათაურმა: „ელო ანდრონიკაშვილის ხსოვნას“ და იქვე, ტექსტის ახლოს მინერილმა და ასევე საგულდაგულოდ გადახაზულმა ფრაზამ: „გარდაიცვალა ძვირფასი ელო“.

ელო, იგივე ელენე ანდრონიკაშვილი (1883-1956) ცნობილი მსახიობი იყო, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი როლით დაამახსოვრა თავი ქართველ მაყურებელს. როგორც აღნიშნავენ, განსაკუთრებით გაშიორჩეოდა მისი რუჟაია და გაიანე (ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“), კაროჟნა (დავით კლდიაშვილის „და-

რისპანის გასაჭირი“), კატიუშა მასლოვა (ლევ ტოლსტოის „აღდგომა“). სორბონის უნივერსიტეტში განათლებამიღებული ელენე დაინტერესებული იყო ლიტერატურითა და მთარგმნელობითი საქმიანობით: სხვადასხვა დროს თარგმნა ოსკარ უაილდის „პადუის დედოფალი“, გუსტავ კადე-ლბურგის „შავი ლაქა“, ალექსანდრე ოსტროვსკის „უმზითვო“, „უდანაშაულო დამნაშავენი“ და სხვა პიესები.

ელენე ანდრონიკაშვილი 1956 წლის 12 მარტს გარდაიცვალა, 15 მარტს კი ინერება „ეს იყო წინათ“, უფრო ზუსტად, ამ ლექსის საწყისი ვარიანტი, რომელიც, როგორც ავტოგრაფისეული მინაწერები ცხადყოფს, მსახიობის გარდაცვალებას ეხმიანება.

რა აკავშირებდა გალაკტიონს ელენე ანდრონიკაშვილთან? რატომ უნდა მიეძღვნა პოეტს მსახიობი ქალისთვის ასეთი საულისმემკვრელი ლექსი?

ამ კითხვებზე საკარაუდო პასუხი პოეტის უბის ნიგნაკებში შემოგვინახა.

ელო ანდრონიკაშვილი გალაკტიონის ჩანაწერებში არცთუ იშვიათად იხსენიება. დღიურებში აქა-იქ ჩანისმული ფაქტები მოგვითხრობს პოეტისა და მსახიობის მოსკოვში ერთდროულ ყოფნაზე 1910-იან წლებში, პოეზიის სადამოებში ელოს „მხურვალე მონაწილეობაზე“, შემდეგ, 20-იანი წლების მიწურულს, ზღვაზე ერთად მოგზაურობასა და მოულოდნელ თუ დაგეგმილ შეხვედრებზე. გალაკტიონის არქივში დღემდე ინახება ელენეს რამე ნაჩუქარი რვეული ნარწერი:

„14 მაისი, 1930 წ., სოხუმი. ელო ანდრონიკაშვილი გიძღვნით ამ რვეულს ჩვენი პატარა მოგზაურობის მოსაგონებლად, და თქვენი დღიურის დასაწყისის დატად. გალაკტიონ ტაბიძეს“.

ჩანაწერები იმასაც ცხადყოფს, ქალი, თუ ინფორმაცია ჰქონდა, როგორი სიფრთხილითა და მზრუნველობით აცნობდა გალაკტიონს ხელისუფალთა აზრსა და განწყობას.

„ელიკომა სთქვა: გამომიძახა შარიაშვილი, — წერს უბის ნიგნაკში გალაკტიონი, — დიდხანს მელაპარაკებოდა შენს ნიგნზე და შენზედო. სთქვაო, რომ ასეთი პოეტი ეხლა რუსეთშიაც არ არისო. მხოლოდ ეს არისო, რომ მას ბევრი ისეთი რამ შეუტანია ნიგნში, რომელთა შეტანა აუცილებლობა არ იყოოო... ბევრი რამ კარგი ილაპარაკა შენზე, როგორც პიროვნებაზეო“...

ჩანაწერი 1945 წლით თარიღდება, პეტრე შარია ამ დროისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის საქმეთა მდივანი იყო. თუ ამდენად ანგარიშგასაწივლი და მნიშვნელოვანია მისი აზრი, ამას გალაკტიონის ჩანაწერის გაგრძელებაც ადასტურებს: „მას შეუტანიაო (თითქო არ იცის, რომ მე ამ ნიგნის არა ვიცი) რა, რაც რადიანს გადავეცი, კორექტურაც კი არ ნამიკითხავს, ბევრი რამ ჩაუმატეს, და ეხლა მე უნდა ვაგო პასუხი“.

ჩანაწერის თარიღის მიხედვით, აქ 1944 წლის „რჩეული“ უნდა იგულისხმებოდეს, სადაც პოეტმა მართლაც შეიტანა ადრეული ტექსტების ის თავდაპირველი ვარიანტები, რომელთა განმეორებით ან სრული სახით დაბეჭდვას მანამდე ვერ შეუძლავდა. როგორც ჩანს, ეს შეუნიშნავი არ დარჩენილა. საყურადღებოა ისიც, რომ ელენე ანდრონიკაშვილის სახლოვე გალაკტიონთან „ზევითაც“ არ ყოფილა უცნობი.

ყველაზე ვრცელი და საინტერესო 1939 წლით დათარიღებული ჩანაწერია, რომელშიც გალაკტიონისა და მსახიობი ქალის კონსერვატორიაში შემთხვევითი შეხვედრა აღწერილი:

„კონსერვატორიის ვესტიბიულში მომესმა ქალის ხმა:
— გალაკტიონ! გალაკტიონ!
მოვიხედე. ელიკო!

— აღარსად აღარ გაგიშვებ... ეხლავე ჩემთან უნდა წამოხვიდე, ქეთო მაღალაშვილს შენი პორტრეტის დახატვა უნდა რამდენი ხანია.

ისე ჩამჭიდა ხელი, რომ პალტოს ჩაცმა ძლივს მოვასწარი. უარი ვინ გათქმევინა, პირდაპირ გამაქანა ბარნოვის ქუჩისაკენ. გზაში იგი მიყვებოდა სხვადასხვა ამბავს პოეტებზე, მწერლებზე, ქეთო მაღალაშვილზე, რომელსაც ალტაცებით ახასიათებდა. გზაში მეუბნებოდა, რომ ქეთოს გავყენებ შენი პოეზიით, რომ პორტრეტი დახატოს ისეთი... ისეთი...“

მართლაც მივიდნენ მხატვართან და ქეთო მალალაშვილს პორტრეტის დახატვაზე შეუთანხმდნენ. შეხვედრა სუფრით დაგვირგვინდა. მხატვარმა მუშაობა მეორე დღესვე დაიწყო. როგორც გალაკტიონის დღიურებიდან ჩანს, პორტრეტის შექმნის პროცესს თვალს ელენე ანდრონიკაშვილიც ადევნებდა. გალაკტიონი ქალს აკვირდებოდა და უბის ნიგნაკში ჩაინიშნა: „ელიკოს ძალიან დაღლილი სახე აქვს, მაგრამ ძველებურად სიმპატიური“.

გალაკტიონის თავისთავად საინტერესო ჩანაწერში, რომელმაც მხატვართან არაერთი დიალოგი შემოგვინახა, არის ასეთი დეტალიც: პოეტი შენიშნავს, რომ ქეთევან მალალაშვილთან პირველი ვიზიტისას მასპინძელი მრავალმნიშვნელოვნად უმზერდა ელენეს:

„მე დავიჭირე ხანგრძლივი და რალაც არაჩვეულებრივი თვალის გასწორება; ქეთო უცქეროდა ელიკოს ისე, რომ მე დავფიქრდი. რას ნიშნავდა ეს?“

ამ კითხვაზე გალაკტიონი თვითონვე უპასუხებს დაბეჯითებით:

„მე ძალიან კარგად ვგრძობ, რომ ელიკოს ვუყვარვარ... ელიკოს მე ვუყვარვარ... და ვუყვარდი ვერ კიდევ ოცი წლის წინად! ოცი წელი! როგორი წლები!“

ცხადია, ამ სიყვარულის შესახებ იცოდა ელოს მეგობარმა მხატვარმა და სწორედ ამით ახსნა გალაკტიონმა მისი უცნაური, დაკვირვებული მზერა.

„ელიკოს ვუყვარვარ... ელიკოს მე ვუყვარვარ... — იმეორებს პოეტი. აქ, მართალია, გალაკტიონი არაფერს ამბობს საკუთარ გრძობებზე, მაგრამ, ალბათ, წარმოუდგენელია, გულგრილი ყოფილიყო იმ ადამიანის მიმართ, ვისმა გარდაცვალებამაც ასეთი შთაბეჭდილება შედეგის შთაგონა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არამხოლოდ სათაურსა და ლექსთან მინანქრ ფრაზაში, არამედ უშუალოდ ტექსტშიც არის მინიშნება ადრესატზე: ხელნაწერში ნაცვლად სტრიქონისა „თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე“ იკითხება: „თითქოს კახეთში თივას თიბავდე“. კახეთი ელო ანდრონიკაშვილის, კახელ თავადთა შთამომავლის, მშობლიური კუთხე იყო.

ლექსის პირველი სტროფი, როგორც აღვნიშნე, ამ ავტოგრაფში არ გვხვდება. სავარაუდოდ, ნაწარმოების დასაწყისი სტრიქონები სულ ბოლოს დაინერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალაკტიონის თხზულებათა ზოგ გამოცემაში ლექსი ამ საწყისი სტროფის გარეშე იბეჭდება:

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, რაც გახსენება გულმა არ ჰგუბოს — მაინც მოვიდა ვიღაც გვირგვინით და შენს უბრალოს აშვენებს კუბოს.

ეს სტრიქონები, გარდა იმისა, რომ ტექსტის განუყოფელი ნაწილია და სწორედ ამგვარად, ამ სტროფთან ერთად გამოაქვეყნა გალაკტიონმა თავის თხზულებათა მერვე ტომში, მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც: ლექსის დასაწყისი ალუზია „არტის ტული ყვავილები“ ერთ ცნობილ ტექსტზე. ფრაზა: „ეს იყო წინად, დიდი ხნის წინად“ პირდაპირ გვაგზავნის გალაკტიონის 1916 წელს დაწერილ ლექსთან „ვერხები“, რომელშიც ეს სტრიქონი ორჯერ გვხვდება. იგი მთავარი პერსონაჟების — პაულისა და პრინცესას დრამატული სიყვარულის ამბავს გვახსენებს და გალაკტიონისა და ელენეს ურთიერთობას რეტროსპექცივაში, ამ რომანტიკულ-სიმბოლისტური პარადიგმის არეალში აღგვაქმევენებს.

ხელნაწერების შესწავლის შედეგად, როგორც ვხედავთ, გაიკვავა, რომ გალაკტიონის ეგრეთ წოდებული ავტოკუპიტაფიის თავდაპირველი იმპულსი პოეტისათვის ძვირფასი ადამიანის გარდაცვალება იყო. შემდეგ ტექსტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, უფრო განზოგადებული სახე მიიღო: ავტორმა ადრესატის ენაპირზე ნაწარმოების სწორების საწყისი ვიპაზუვე დაფარა, თუმცა მიძღვნილი სათაურის სანაცვლოდ დაწერა ლექსის პირველი სტროფი, რომელიც ალუზიურად, პარადიგმაზე მინიშნებით ელო ანდრონიკაშვილთან ამალღებული რომანული ურთიერთობის შინაარსს აქარაგმებდა.

„ეს იყო წინათ“ ერთდროულად პოეტისთვის საყვარელი ადამიანის ფარულ ხსოვნასაც ინახავს და იმ გენიალური ხელოვანის რეკვიმდაც აღქმება, ვინც ამქვეყნიური მიუსაფრობის სანაცვლოდ ზეციური სიმშვიდე და მარადისობაში არსებობა მოიპოვა...

აკა მორჩილაძე მისტერ კრისის და მასტერ უილის ამბის დასაწყისი

ფრაგმენტი მომავალი ნიგნიდან „მისპოპერი“

გაგრძელება

ეს ზეიმისკენ მიმართავს მათ განწირულ ერთობას და მალევე, გაქანებული ფეიერვერკობის დროს, დემონები ამპარტავენების მეზარბაზნეთა პოლკის ბიჭებს ნამოყრიან. ფეიერვერკობის ხალისი და ბათქა-ბუთქი რომ მინავლავს დაინყებს, სწორედ მაშინ გამოაგორებენ ქვემეხებს და ზათიქც დაინყება. სანამ იმედაცრუება მარლის აყრის ბრაზს, მთელი პატარა ცხენები ყვირიან.

საქმეს საჭიროდ რომ მოაწყობენ, მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა უკანა რიგებში ჩახვადებენ და ტკებენ. მხოლოდ ხანდახან თუ შეასწორებენ რამეს. ქალი და კაცი კი უკვე სწორედ იმ გზებს მიუყვებიან, დემონებმა რომ მოუკირწყლეს.

მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა ასევე კარგად ერკვევიან შეცდომის არსსა და ძალაში. მნიშვნელოვანია, ყოველ ადამიანს აფიქრებინონ, რომ შეცდომა სამუდამო, უპატიებელი და საბედისწეროა. ამიტომ ზარბაზნების ზათიქს შემდეგ დემონებმა ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ ადამიანებმა ერთმანეთის შეცდომებს სული უნდა უბერონ, აცოცხლონ და მადლად ამყოფონ, როგორც მარადმწვანედ განწული სილა.

თუკი ვინმეს მაინც ზარმაცი დემონები ეგონება მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა, ეს მისი საქმეა. იმის მიუხედავად, რომ ისინი, ცოტა არ იყოს, ლემიჭამიებივით ტკებენ და ზიანებულნი სულითა და სხეულით, ხერხებისა და ხელსაწყოების მრავალფეროვნება, რომელსაც ისინი იყენებენ, გულის ზოგიერთი სიდრმეთა უმაღლეს ოსტატებად აქცევს ამ გულისამრევ დემონებს.

მათ ისეთი უსასრულო წარმოდგენის, ისეთი ფერადღვანი და ზედრითი ღონისძიების გამართვა შეუძლიათ, რომ მისი სრულყოფილად ხილვა ვერც კი ხერხდება. ამ საზიზღარი სრულყოფილების მხოლოდ რამდენიმე სურათს თუ მოიხელთებ. საკმაოდ რთულია იმ შენობის სულ ერთი კედლის აღწერაც კი, მისტერ ჯანდაბა და მისი დოზანა რომ აკონინებენ. ხილულ სამყაროს ყველაფრის შემოკლება უყვარს, მაგრამ უხილავ სამყაროს ვერაფრით შეამოკლებ. უქარც დასაწყისია, არც დასასრული. ამიტომ ეს წარმოდგენა შესაგრძობია და ხილვადი კი მხოლოდ იქაა, სადაც რალაც სასწაულით თვალს უსწრებს მოახერხებს.

მისტერ ჯანდაბას და მისის დოზანას ჩაცმის საკუთარი წესები აქვთ, რადგან ადამიანთა შიგნით ყოფა მათთვის კარნავალია. დემონებს არ უყვართ ახალი და ძვირი სამოსი, ძველანების მოტრფილენი არიან, რატომღაც სწამთ, რომ დემონის სამოსი მსხვერპლის სამოსსაც განსაზღვრავს. იშვიათად, რომ ამან გაამართლოს, მაგრამ დემონები თავისას არ იშლიან და ამ ცრურწმენას მტკიცედ მისდევენ.

ამბობენ, რომ მისტერ ჯანდაბას გახუნებული ლურჯი მაისურას ჩაცმა უყვარს. თანაც, ორი ზომით პატარა ურჩევია, იმიტომ, რომ პატარა და ბანჯგვლიანი ღიპის ქვედა ნაწილი და ჭიბი გამოუჩნდეს. ამ მუცლის ჩვენებით დემონი სიმბოლურად წარმოაჩენს ზარბოშიანი ცხოვრებისადმი ტრფილებას.

ჩვეულებრივ, მისტერ ჯანდაბა გაუპარსავია. მის არცთუ მთლად ჭაღარა ულვაშს და ჩხვლეტია ნიკაპს თითქოს თამბაქოს კვალი ატყვია. მას ასევე უყვარს ზეთისა და კეტრუპის ლაქები თავის ძველ ჯინსზე და როცა საქმიანობს, ყოველთვის დამცინავი მკიდილობა უთრთის უქებდამძიმებულ თვალებში.

რობს უზონრო სავარჯიშო ფეხსაცმელს. ზოგჯერ შავი ნაქსოვი ქუდიც კი ახურავს, როგორც ერთ მორღვეულ, იმედაცრუებულ ვინმეს, მაგრამ მაინც იოლად შეამჩნევთ მობებრო ძალას მის მხრებსა, მკლავებსა და ხელის მტევნებში. ხელები ნამდვილად მუშა კაცისა აქვს, ათწლეულობით ნაჯაფარი, სქელმაჯიანი და მარნუხა და, რასაკვირველია, ნიკაპის გაუპარსავებში შეიძლება ლულის წვეთიც უციმციმებდეს მზიან დღეებში.

მისის დოზანა უმეტესად კი ქალებში შესრიალებდა ხოლმე, მაგრამ მამაკაცების შეცდენის ხერხებიც იცის. ამიტომ ის ჭეშმარიტ ქალ-დემონად არსებობს და იმგვარად იპრანჭება, რომ თავისი მიმზიდველობები წარმოაჩინოს. ამიტომაც, ის ალისფერ ქუსლიან სანდლებზე დგას და ტუჩებისთვისაც ალისფერი დაუნარჯავს და, საერთოდაც, ძველი ყაიდის კოსმეტიკას მოიხმარს და იპრიალებს და ასე ცდილობს თავისი ნათრევი იერის შემკობას. შორიდან მოგჩვენება, რომ ერთი თვის წინანდელი ბიპაივის ვარცხნილობა აქვს, მაგრამ ახლოდან ირკვევა, რომ თვითონ მიულავა-მოულავებია კულულები. მუქი, კარგი ნახმარი ბლუზა აცვია ხოლმე და ყუპონი კი მუხლისთავებს მტკავლით აუცილებია. წინდები, რასაკვირველია, ყორნისფერი, ალაგ-ალაგ თვალნასული. ფრჩხილებზე ორი კვირის წინათ ნაუსვამს ღრმა მენაპული საღებავი, ხოლო მარცხენა ხელის ცერა თითი არცთუ ცინცხალი პლასტირით გადაუხვევია, თითი ხომ კარში მოჰყვა.

მისტერ ჯანდაბას და მისის დოზანას ცოცხალთა სულსა და სხეულში ხელკავით სიარული უყვართ. მეტიც, შედგებიან ხოლმე და იღიმან, თითქოს ფოტოაპარატის გაჩხაკუნებას ელოდებიანო. თავიანთ ნახელავს კირგებენ, მაგრამ ბედნიერების განცდა არა აქვთ. მეტიც, შავი ჭირივით ემინიან მისი.

თუმცა, რახან ბედნიერება ისედაც არ არის ხშირი სტუმარი და არც ბაღში იზრდება, მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა თავს დაცულად გრძობენ.

შში უკი არა აქვთ, მაგრამ მაინც იმსილრმეზე შედიან ამდამიანში, რამსილრმეზეც მსხვერპლი შეუშვებს და იქამდე არაფრით მოსვენებენ, სანამ ბოლო ჭრილობაც კი ფეთქავს. მას შემდეგ კი, რაც სულს ისე დაასახიჩრებენ, რომ ველარავინ იცნობს და გონებასაც დააბნელებენ, არსად მიდიან, ნაკვერჩხლებზე გადავლენ ხოლმე.


და მაინც, ადრე თუ გვიან, ისინი მიდიან. დემონების სისუსტე ცნობილია, ისინი უსასრულო წარმოდგენას ათამაშებენ, მაგრამ მსხვერპლთა სულელებში დრო ხომ ცოცხლობს? დემონები კი მარად ცეცხლს ვერ შობენ. რაც არ უნდა ეცადონ, ნაკვერჩხლები მაინც დანახშირდება. ერთ დღეს ასეც იქნება. დრო ყველაფრის მკურნალია. სხვა შემთხვევაში, თუკი ისინი ნაადრევად გადაწყვეტენ ნასვლას, მიდიან ხმაურით, ამაყად, უკანასკნელი მომაკვდინებელი მოქნევის შემდეგ.

როგორც კი ჩანახშირებას დაატყობენ, მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა ფართხაფურთხით ტოვებენ სულსა და სხეულს და ახალი მსხვერპლისკენ მიემუხრებიან. ამორჩევა ძნელი არ არის.

კრისს უყვარდა თავისი სახელგანთქმული დემონების გახსენება. ჩემს ძველ დივანზე მიგდებული მხიარულად გამოაცხადებდა ხოლმე:

„მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა შვებულებში გავიდნენ... ცოტა ბალახი გაგვაბედნიერებდა“.

დასასრული შემდეგ ნომერში



ა ი (ნამდვილი სახელი აი კოუჭუ) დაიბადა 1976 წელს. 32 წლის ასაკამდე, სანამ გადაწყვეტდა, თავი წერისთვის მიეძღვნა, მუშაობდა პოლიციის ოფიცრად, მდივნად და რედაქტორად. არამეინსტრუქციული მედიისა და ლიტერატურული ფიგურების მხარდაჭერის წყალობით, რომელთათვისაც მისი წერის ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენილა, ა ი-ს მწერლობისადმი ჯიუტმა ერთგულებამ და მისმა ნეიტრალურმა პიროვნებამ ის ნელ-ნელა პოპულარული გახდა. წლების მანძილზე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა გამოცემლობებსა და რედაქციებში.

მიუხედავად იმისა, რომ ა ი 2004 წლიდან აქვეყნებდა მოთხრობებსა და ჩანაწერებს თავის ბლოგზე, მოთხრობების პირველი კრებული — „ნაცრისფერი ისტორიები“ — მხოლოდ 2008 წელს გამოიცა. 2010 წელს ამას მოჰყვა კიდევ ერთი ნიგნი — „ჩიტმა და მინახა“ — რომელმაც განავითარა ა ი-ს უცნაური ლიტერატურული სტილი და სრულიად არასენტიმენტალური მსოფლმხედველობა. მისი პირველი ვრცელი ნაწარმოები, ნოველა — „ახლა როგორ მოვიქცე?“ — ჩინეთში 2012 წელს გამოიცა.

ა ი-ს პირველი ნიგნი, რომელიც ინგლისურ ენაზე ითარგმნა „A Perfect Crime“ (ორიგინალი სახელი — „ახლა როგორ მოვიქცე?“), 2015 წელს დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა.

ა ი წყევლა

ძამბამი შესაძლოა ისევე უკვლოდ გაუჩინარდეს, როგორც მწერი. სწორედ ეს არის ამ ისტორიის დასაწყისი. დაკარგული ქათმის პატრონი ჭუნგ იუნგლიენი დარწმუნებული იყო, რომ მისი ქათმის დაკარგვაში, მეზობლის, უხაინგის ხელი ერია. ამისთვის კი საკმარისი აღმოჩნდა ორი უტყუარი სამხილი: პირველი, ქათმის ბრწყინვალე ნაკვალევი, რომელიც უხაინგის ბოსტანში მთავრდებოდა; და მეორე, მობარშული ხორცის სუნი, რომელიც მისი სახლიდან გამოდიოდა. უხაინგი არ გახლდათ ისეთი ქალი, რომელთანაც რამე უსიამოვნების ნამონყება ღირდა: ის გამუდმებით კინკლაობდა და მზად იყო, უპირატესობის მოსაპოვებლად სახლის გადაწვაც კი ეკადრებინა. ჭუნგი ფიქრობდა, რომ კარგი იქნებოდა, მისი უშემური და მკვლელის სახიანი ვაჟი ყოფილიყო სახლში, მაგრამ მას ხომ საუკუნეა, არ დაურეკავს და არც ფული გამოუგზავნია.

როგორც კი ბინდი ჩამოწვა, ჩამომხმარი ტანის ჭუნგ იუნგლიენი დაფიქრდა ორ საკითხზე: პირველი — უხაინგი იყო ის, ვინც ძირი გამოუთხარა მათ ფასადურ ჰარმონიულ ურთიერთობას, მშვიდობის დასამყარებლად მხოლოდ ჭუნგის ძალისხმევა როდი იყო საკმარისი. და მეორე — მართალია, ქათმის გაუჩინარება სულაც არ იყო სამყაროს დასასრული, თუმცა ამ ფაქტის არშემჩნევაც შეუძლებელი იყო. ჭუნგი ფიქრობდა, რომ ამ ამბის მეორე დღემდე გადადებდა არ ღირდა, დაგვიანებული იქნებოდა. ამ ფიქრებში იყო, როცა სოფელში გაგლა გადაწყვიტა. „ჩემი ქათამი ხომ არ გინახავთ?“ — ეკითხებოდა ყველას, ვისაც გზად გადაეყვებოდა.



დასასრული

და როცა ჰკითხავდნენ, იპოვა თუ არა დაკარგული ქათამი, პასუხობდა: „მხოლოდ ის ვიცი, რომ ბოლოს აღმოსავლეთით, ბოსტანთან ვნახე“. ეს სტრატეგია მას თავისი ქმრისგან ესწავლა. უპირველესად, საჭიროა სოფელში გავლა-გამოვლა, ნიადავის მომზადება — ჭკუას არიგებდა ქმარი სიკვდილის წინ. ბოლოს, როგორც იქნა, ჭუნგი იუნგლიენი უ ხაინგის სახლს მიადგა. „ვის უნდა მოეპარა ჩემი ქათამი?“ — ნაილილინა სამჯერ ჭუნგმა.

„რა ხდება?“ — ჰკითხა უ ხაინგმა. „არ ვიცი, რომელმაც უნამუსომ მოიპარა ჩემი ქათამი“.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჭუნგი იუნგლიენი მიხვდა, რომ სახიფათო ომი წამოიწყო. მაგრამ როდესაც უმ უპასუხა, რომ ქათამი თავისით დაბრუნდებოდა, ჭუნგი ამან კიდევ უფრო გააცოფა, თავი გვერდზე გადაქნია და ჩაილაპარაკა, „და უკან როგორ დაბრუნდება, თუკი მკვდარია? თუკი უკვე შეჭმულია, როგორ დაბრუნდება?“ უ ხაინგი თითქოს მიუხვდა ნათქვამს. „შენ ფიქრობ, რომ მე მოგპარე?“

„ვინც გააკეთა, მან მშვენივრად იცის“, წარმოთქვა ჭუნგმა, ბრალდება წაუყენა და წასასვლელად მიბრუნდა. უ ხაინგი ჭუნგს მოსაბრუნებლად სახელოში სწავდა. ქალმა ხელები გააშვებინა და დაუღრიალა: „მომწყდი თავიდან!“

„დღესვე მეტყვი, როდის შეეჭამე შენი ქათამი, მეტყვი და მერე წახვალ“, იღრიალა უმ.

„მე არ მითქვამს, რომ შენ შეჭამე, მაგრამ ამ წუთას შენ თვითონ აღიარე“, სიტყვაზე გამოვიდა სცადა ჭუნგმა.

„როდის ვთქვი, რომ მე შეეჭამე?“

„თუ შეჭამე, შეჭამე, ის ხომ მხოლოდ ქათამია. ვერც კი დავამტკიცებ“.

ამ დროს იანგცუნში წვიმდა. უ ხაინგმა ჭუნგი იუნგლიენს საყვლოში ხელი ჩაავლო, წვიმისგან დასველებულ სახეზე მშვიდად შეხედა და ძლიერი სილა გაანა. ქალს თვალებიდან და ცხვირიდან ცრემლი და სისხლი ერთდროულად წასკდა, საშინლად დამამცირებელი იყო ეს ყველაფერი. იმ დროს, როცა უ ხაინგმა მეორედ დააპირა სახეში გარტყმა, ჭუნგს თავისი გარდაცვლილი ქმარი გაახსენდა, მორთო ბლავილი, ეცა უ ხაინგს, რომელსაც მოულოდნელმა შეტევამ წონასწორობა დააკარგინა. უ ფეხზე წამოდგა თუ არა, ჭუნგს თმაში წვედა (თითქოს ბლუჯა ბალახი ყოფილიყო) და ისე ძლიერად მოქაჩა, რომ ჭუნგი მინაზე დაანარცხა. როცა ჩხუბზე ხალხმა თავი მოიყარა, ჭუნგი მინას გართმულიყო და განწირული ყვიროდა ხან გარდაცვლილი ქმრის და ხანაც თავისი ვაჟის სახელზე, გვერდით კი უ ხაინგი ედგა, რომელიც ქმრის რჩევას, სახლში დაბრუნებულიყო, არაფრად აგდებდა. „მან დაიწყო“, ხსნიდა უ. „მან თქვა, რომ მე მისი ქათამი მოვიპარე“. ჭუნგი იუნგლიენი ტალახში ხელს უტყაპუნებდა და მოთქვამდა: „ეს კიდევ ლაპარაკობს!“ სოფლის ქალებმა მისი წამოყენება სცადეს, თუმცა უმედეგოდ. ჭუნგი ისევ დაცა და მინაზე გართმული ხელ-ფეხს იქნევდა.

„თავს იკატუნებს“, თქვა უ ხაინგმა.

„ცოტა ნაკლები ილაპარაკე რა!“ უთხრა მეუღლემ. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ქმარმა სახლში შეიყვანა, მაგრამ მაინც მოასწრო ეთქვა: „ყველამ გაიგონეთ მისი ბრალდება: თქვა, რომ მისი ქათამი მე მოვიპარე. ჩამქოლეთ, თუ ეს მე გავაკეთე“. ახლა ჭუნგი იუნგლიენი გამოდგან და თითქოს კენ გაიშვია: „თუ ჩემი ქათამი შენ მოიპარე, ამ წელს შენი შვილი მოკვდება. და თუ ეს შენ არ გაგაკეთებია, მაშინ ჩემი შვილი მოკვდება“.

„თუ მე მოვიპარე, ჩემი შვილი მოკვდება“, მიიღო წყევლაში გამონწვევა უ ხაინგმა.

„მე მაინც არ მჯერა მისი“, ბუტბუტებდა ჭუნგი იუნგლიენი.

მომხდარის გამო სადამოს ჭუნგს საკუთარი თავი შეეცოდა, თუმცა რადგანაც კამათის ბოლო სიტყვა სწორედ მან თქვა, უსამართლობის შეგრძნება ოდნავ შეუმსუბუქდა.


მეორე დღით ქათამი სახლში დაბრუნდა, წვიმისგან სულ გალუმპული, როგორც უკან დაბრუნებული უქონელი განდევნილი, ფეხებს მინაში საწყლად აფხაჭუნებდა, ფეხზე ნითელი ნაჭერი ჰქონდა გამობმული. იუნგმა ქათამი სახლში შეიყვანა და ჩუმად დაკლა.

ჭუნგი იუნგლიენს უ ხაინგის ყოველი დანახვისას საშინელი დანაშაულის გრძობა აწუხებდა, ეს მანამდე ხდებოდა, სანამ ერთ დღეს არ გამოფხიზლდა და გააცნობიერა, რომ თუმცაღა უ ხაინგს მისი ქათამი არ მოუპარავს, ეს სულაც არ გულისხმობდა, რომ ის კარგი ადამიანი იყო, ან არ იყო ქურდი. კარგად ახსოვდა, თუ როგორ ათრია თმით უ ხაინგმა წყლის ბინძურ გუბებში; ვერც საკუთარი ცრემლებსა და სისხლის მარინირებულ გემოს იგინებდა.

თუ ისინი ერთმანეთს სადმე გადაეყრებოდნენ, ჭუნგი უს თვალში აბურ, მტრულ მზერას გაუყრიდა ხოლმე. ქათამები რომ აღარ დაკარგულიყვნენ, საქათმეს პლასტმასის ლობე შემოავლო და სიძეს სთხოვა, ქათამების ფეხებზე გამობმულ ნითელ ლენტებზე წაენერა „სიკვდილი ქათამის ქურდებს“.

ქალები ყველანაირად ცდილობდნენ, ერთმანეთს არსად გადაკვეთოდნენ.

მთვარის კალენდრის ბოლო თვე მოახლოვდა თუ არა, სოფელი მხოლოდ უ ხაინგის ვაჟის, კუოხუას ტუნგკუანიდან დაბრუნებაზე ლაპარაკობდა. კუოხუა თეთრი



„ბუიკით“ დაბრუნდა, მანქანა უხმაურად გადაიარა სოფლის გზის გაყინულ ბალახსა და ქვებზე. კაცმა ხელის მუხრუჭი ამოსწია და თვითკმაყოფილი სახით კარი მიაჯახუნა. დისტანციური მართვის პულტს თითქოს დააჭირა, მანქანა ძალიან დაინკმუტუნა. იქვე ოცდამეორე წლამდე გოგონა იდგა და სიყვარულით შეჭყურებდა კაცს, ადგილობრივი ნამდვილად არ იყო. მისი ნაზი, თეთრი სახე შეიძლებოდა, ერთ ხელისგულში ჩატეულიყო; თვალები ისე უელავდა, როგორც სოფლის მაცხოვრებლების წარმოდგენაში უცხოელებს უელავთ. მოკლე და სქელი თმა ჰქონდა ნითლად შეღებილი. აპმთარი იყო, მას კი მჭიდრო წაცრისფერი მაისურისა და შავი ტყავის შარვლის მეტი არაფერი ეცვა, ტანზე მომდგარი ტანსაცმლის წყალობით სხეულის ვიწრო ფორმები და გრძელი ფეხები გამოკვეთილი. გოგომ უმანკოდ გაუღიმა მის წინ მდგომ საზოგადოებას და ბროლივით უნაკლო კბილები გამოაჩინა.

„შედი, სისი“, უთხრა კუოხუამ გოგოს და მანაც მორჩილად შეაბიჯა უ ხაინგის სახლში. ის იყო ყველაზე ლამაზი ვინმე, ვინც სოფელს აქამდე ენახა. ალტაცებულ სოფელს მთელი დღე ცნობისმოყვარეობა სტანჯავდა, მოჯადოებულები იყვნენ უცხოტომელით. გოგო სახლიდან არ გადიოდა, ერთ დღეს უ ხაინგმა მას სოფელში გასივრება შესთავაზა, კუოხუამ გადაწყვიტა გოგონა თავისი რამდენიმე ნათესავის მოსანახულებლად წაეყვანა. უ ხაინგი აქტიურობდა, სოფელში დაიარებოდა, იცოდა, რასაც მოისმენდა, არცერთი მასპინძელი არ იშურებდა მისი იღბლის საქებარ სიტყვებს. „გმადლობთ, გმადლობთ, მისი მშობლები ჯერ არ დათანხმებულან“, — მოკრძალებით პასუხობდა ის. თუ თანამოსაუბრე არ ეტყოდა „ადრე თუ გვიან“ ამ

ორ სიტყვას, ის სწრაფად დაამატებდა ხოლმე: „მათ უკვე ბეჭდები გაცვალეს, ხომ გესმით“. ქალი იმდენად ეფორიულ მდგომარეობაში იყო, რომ ჭუნგი იუნგლიენის მასხრად აგდებაც კი გადაავიწყდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ფიქრობდა, რომ მისთვის ამაზე დიდი დამცირება ველარაფერი იქნებოდა.

ჭუნგი ქალაქში გაემგზავრა, ქალაქის ნაგლეჯი ამოიღო და საზოგადოებრივი ტელეფონის ბიუროს უფროსს სთხოვა, მითითებულ ნომერზე დაერეკა. ქალს სურდა, საკუთარი ვაჟისთვის, კუოფენისთვის ეთქვა, რომ სახალწლოდ გოგოსთან ერთად დაბრუნებულიყო — იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ამისთვის ფულის გადახდა მოუწევდა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ნომერთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ყურმილი არავის აუღია. „კიდევ სცაადეთ“, — ჭუნგი იუნგლიენი არწმუნებდა კაცს. „არასწორი ნომერი აკრიფეთ?“ მოუსვენრად ეკითხებოდა იგი. მორიგ დარეკვაზე უარესი მოხდა — მობილური გათიშეს. კუოფენი ყოველთვის გულცივი იყო, დედას არასდროს ეუბნებოდა, სად მუშა-

თავს. გასულ წელს უამრავი მაგიდა ახარტული მოთამაშე დაიჭირეს და თითოეულს ოთხასი იუნგი გადახდევინეს, გარდა კუოხუასა, რომელმაც გაქცევა მოახერხა. მას შემდეგ, რაც ის გაიქცა და ფული არ გადაუხდია, ბევრი ამბობს, რომ კუოხუა არ იხდის და მან რატომ უნდა გადაიხადოს. ეს ცუდი მაგალითია ხალხისთვის.

რამდენიმე დღის შემდეგ განყოფილება სოფელში კუოხუას დასაჭერად გაგზავნა პოლიციელი, მძლოლი და დაცვის რაზმის წევრი. უცვარი თავდასხმის შემდეგ კუოხუა, რომელიც ხაფანგში გაბმული კურდღლევი თვის დაღწევას ცდილობდა, გარეთ გამოათრევს. სისი მათ მანქანამდე დაედევნა: „რატომ? რატომ?“ სერილის გმირივით სლუკუნებდა ის.

„გზიდან გამეცალე“, დაუყვირა დაცვის რაზმის წევრმა სისის. ულვაშები სტალინივით დაეფარცხნა. სისიმ მუშტები დაუშინა და ჩინურად უხამს სიტყვებსაც კი ლამაზი აქცენტით ყვიროდა, უცებ კრიჭა შეკრა და თვალებიდან ცრემლები წასკდა. „რა უფლება გაქვთ, დააკავოთ? ნუთუ არც კანონის და არც ღმერთის გეშინიათ პოლიციის ფორმიანებს?“ მისი მშვენიერები და ბავშვური სერიოზულობის გამო პოლიციის ჯგუფი წამით შეეყოვნა, შემდეგ კი კუოხუა ნაიყვანეს, უკან მოიტოვეს მტვერი და ბული.

როდესაც უ ხაინგი დაბრუნდა და ახალი ამბავი შეიტყო, ფეხები აუცახცახდა და გონება დაკარგა, ხოლო სისი მის გვერდით ჩამუხლული ტიროდა. ჭუნგი იუნგლიენი მათ ფანჯრიდან უცქერდა, რამდენჯერმე ჩაიცინა — ძალიან კარგი, ეკუთვნით, — გაიფიქრა მან. ეკუთვნით, ისევე გაიმეორა, ახლა უკვე ხმამაღლა და სახლისკენ გაემართა.

ნახევარი საათის შემდეგ კუოხუა დაბრუნდა, რომელიც დამტყვევებლებს როგორც ხელიდან დასხლტომოდა. სისის შუბლზე აკოცა და ზედა სართულზე დაიმალა. „უბრალოდ უთხარით, რომ მთაში გავიქეცი“, — თქვა მან. შებინდებისას პოლიციის ჯგუფი სოფელში დაბრუნდა. უ ხაინგის სახლში შეკვივდნენ და დაიწყეს ჩხრეკა. „სად არის?“ უმეორებდნენ კითხვას უ ხაინგს.

„არ ვიცი“.

„იტყუებ. ნუთუ არ იცი, სად წავიდა შენი შვილი?“

უ ხაინგმა თვალი აარიდა პოლიციელს.

„მთაში გაიქცა“, დაღვრემილად უთხრა სისიმ.

„გაიქცა, არა?“

„დიახ, სწორედ ასე ვთქვი“.

სტალინის უღვაშიანმა ფარანი სახეში მიანათა. სისიმ თვალები დახუჭა და ტუჩი მოიკვნიტა. სახეზედაჭიმული კანი დროდდრო უთრთოდა, ლოყაზე წამწამების გრძელი ჩრდილი ჩამოწოლილიყო.

„ესე იგი, გაიქცა, არა?“

„დიახ, როგორც გითხარით“, გაიმეორა მან ახლა უფრო გაბეჭულად.

„სად არის შენი დროებითი ბინადრობის ნებართვა?“

„არ მაქვს“.

„უნდა გქონდეს“.

„არ მაქვს“.

„მაშინ რაფრთხილად წამოხვალ“.

„რატომ?“

მოულოდნელად სისის სახეში ფარანი გაარტყა. სისის ფეხები წაერთვა და რბილად დაეცა. „წავედით“ — დაუღრიალა პოლიციელმა დანარჩენებს, „ეს კი განყოფილებაში მიგყავს“. უცხოელს მაღალ ტყავის ჩექმებში ხელი ჩაავლეს და წაიყვანეს. გოგოს ისეთი სასონარკვეთილი მზერა ჰქონდა, თითქოს თევზი ყოფილიყო საჭრელ დაფაზე. შემდეგ ეს სასონარკვეთილი მზერა იქვე შეკრებულ უცნობ მზობლებზე გადაიტანა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი გოგონას ყურებდა ბოლოს ველარ გაუძღეს და სირბილით გაიკრიფნენ სახლებში.

როდესაც პოლიციამ სისი გარეთ, ეზოში, გაიყვანა, მეზობლები პოლიციელთა რაზმს ცხენოსანი ჯარისკაცების მსგავსად ყველა მხრიდან შემოევივნენ, პოლიციელები ალყაში მოაქიეს, დაუშინეს ცოცხები, ხის ჯოხები და მილებიც კი, ვისაც ხელში რა მოხვდა. ამ ქაოსში მხოლოდ რამდენიმე უბრალო პოლიციელი მოუწოდებდა ხალხს დაშოშინებისკენ, მაგრამ ველარავინ აჩერებდა.

„შეჩერდით“, დაიძახა ვილაცამ, ვის ხმა-


გიორგი შერვაშიძე

მეც...

ბეძაძე ქურხულს კარგად არ ვიცნობ. სამჯერ შევხვდი და ისიც რამდენიმე წამით. მეტად კი სოციალურ სივრცეში ვხედავ ხოლმე. რაღაცნაირი მწერალია, პირდაპირი და არამოქმედელი. გასაკვირია და, ამავდროულად, პოპულარულიც არის. ეს დღეს იშვიათობაა. ახლა ისინი არიან მეტად დანიშნულებულნი, ვისაც პირმოთენობა უკეთ გამოსდით... ეს კი სულ სხვა სიბრტყეზე იბრძვის. სულ თავის თავშია ნასული და მაგრად კიდეა, აქ ვინ ვის როგორ ეფერება, ეპირფერება. იშვიათად კიდეც გაილაშქრებს ხოლმე ვინმეზე და ან კი რამეზე. ეს ვინმე თუ რამე კი ყოველთვის სხვადასხვა „რამაა“. სიმართლე გითხრათ, მე ეს რამე-რუმეები ნაკლებად მაინტერესებს, მზიბლავს. უფრო მეტად ის მომწონს, როგორც ილაშქრებს... ასე მგონია, წელზე მუდამ ხმალი აქვს შემორტყმული და სულ მზადაა, იშვიათად ისე, ჩემთვის მისი ეს სახება „ხმალმემორტყმულია“ უფრო ყოველდღიურად კი არის. ანუ ასეთი „ხმალმემორტყმული“ მგონია არა მხოლოდ ლაშქრობისას, არამედ ასეთივეა, როცა წერს, საუბრობს თუ კითხულობს. თითქოს მარად შემართულია, რათა ხმალი იშვიათად, ერთი ხოშინად დასჭყვივლოს და მერე დაერიოს თავის მისტიკურ ქიმებას თუ ქარის ნისკვილებს...

მარტო არასდროს მყავს ნანახი. გვერდს მუდამ ძმა უმშვენებს. ორკაციანი რაზმით არიან. გომბორის ქედს გადმომდგარი ქურხულების რაზმივით... ეს უფროსია და ძმა კი უმცროსი. ისე, არც ერთის ასაკი ვიცი და არც — მეორისა. არასდროს მიკითხავს, თუმცა ასე მეჩვენება და, მგონი, არც ვცდები. ეს უფროსი ძალიან მზრუნველი უნდა იყოს და ის უმცროსი კი მისდამი უსაზღვრო პატივისცემით აღვსილი. ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. უფროსი როცა საუბრობს, ხშირად იმეორებს — გესმის, ლექსოო. თითქოს უნდა, რომ ისიც, ძმაც, სულ საქმეში ჰყავდეს. მასაც მასავით ესმოდა, ხედავდეს და სუნთქავდეს. ჩემი თავი კი სამჯერვე წარუდგინა უმცროს ძმას — ეს შერვაშიძეა, კნიაზი აფხაზეთიდანო... იმანაც თავი ღრმა პატივისცემით დაუკრა. ჰო, მაშინ ცოტა ნასვამებიც იყვნენ... მე მართლა სულ ასეთები მინახავს, მახსოვს და სხვები კიდეც, შესაძლოა, სულ სხვანაირადაც იცნობენ, უცქერენ და სულ სხვა რამესაც ხედავენ ამ ორკაციან რაზმში. გომბორს კი არადა, საბურთალოს მომდგარ ქურხულების რაზმში...

ახლა ცოტა რომანზეც ვთქვათ: „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები“ აი, ისეთი ნიგნია, ზოგს რომ გააკვირვებს, ზოგს აღფრთოვანებს და ზოგს კი გულსაც დასწყვეტს. მოკლედ, აქ ყველა თავისას იპოვის — ვინ მეტს და ვინ ნაკლებს. ზოგისთვის ბევრი რამ მართლაც ნაცნობი იქნება და ზოგისთვის კიდეც უცნობიც, ეგ ზოტიკურიც. ალბათ, მთლიანობაში უფრო თბილისური საგაა, ვიდრე სხვა რამ უცხო



ხილი. აი, ვისაც ეგ ბნელი დროება თუ ამბები არ ახსოვს და შესწრება, იმათთვის აუცილებლად ნასაკითხი ნიგნია, რადგან იცოდნენ და ახსოვდით, საიდან მოვდივართ. ისე, მაშინ მაგარ უკუნეთში კი ვიყავით... და ვინც ამ წვეწმეზე მეტად იხარებოდა, იმათთვის კიდეც... აი, არც კი ვიცი, იმათთვის ეს ყველაფერი როგორია? მინდოდა კი ამ ყველაფრის გახსენება? არ ვიცი. მინდოდა კი ამ სპექტაკლში კიდეც ერთხელ მონაწილეობა? არც ეგ ვიცი. ზოგადად, მაგ პერიოდის მიმართ ორმაგი დამოკიდებულება მაქვს. თან მძულს და თან რაღაც დოზით მართლაც „მე რომანტიკულაა“. ჩემია, რა... კიდეც ვიცხოვრე, კიდეც მიყვარდა და კიდევაც მოვკვდი... აი, ზუსტად ისე, როგორც ეს ამ რომანშია. თავისი გადარეული სიყვარულებით, შავ-თეთრი სიგიჟეებითა და უპირობო დრამებით. არა, ეს ჩემთვის ნამდვილად არახალია და არც შთამბეჭდავი. სულ, სულ ყველაფერი გამაახსენა, თავისი ტყვილეობით, უსამართლობებით, შეწირული სიცოცხლეებითა და რომანტიზმით? კი, რომანტიზმითაც. ვისაც ეს დრო არ უნახავს, არ ახსოვს, იცოდეთ, რომ მაშინ 90-იანებში სიკვდილსაც დაჰკარავდა რომანტიზმის ელფერი.

ჩემი კი უფრო ამ რომანის მეორე ხაზი გამოდგა. ანუ დემთი-ყივჩაღის ჩანაწერები. აი, იქ კი მართლაც სულ სხვა სივრცე და თვალსაწიერია. თავისი სტუპებით, შაინებითა და წვრილი, ცერად აპრეხილი ვნებიანი თვლებით. მართალია, იქაც ზუსტად ისევე უყვართ, ისევე სცოდავენ და ისეთივე დაწერილი თუ დაუნერული კანონების ტყვეობაში არიან, როგორც ამ ჩვენს ცოდვით სავსე ქალაქში, თუმცა ყივჩაღეთში კიდეც ცოტა სხვა რამეც იგრძნობა — ტრამალი და ველური სიშლეგე... ავტორიც ამ სტუპის ამბებს ჰყვება. თავის ნახანს, განცდილს თუ მოსმენილს კი არა, არამედ სულ ახლებს, მხვანაირებს, გამოგონილებს. დაქრის თავისი მკბუნარა, ბებერი ცხენით და აწიოკებს მთელს ყივჩაღეთს. აქ მართლაც სულ სხვა შთაგონება და შემართებაა. აქ მართლაც სულ სხვა მასშტაბის მწერალი ჩანს... მერე კი, როცა სიზმრებსა და მისტიკას შემოაპარებს, აი, მანდ ხომ საერთოდ ერთ დიდ სიგიჟეში გადადის ყველაფერი?! მე ეს სიგიჟეები და მისტიკა მაგრად მომეწონა. მეც შევფარინდი ავ ფაშატს, მეც მოვიქნიე ძველი გორდა ხმალი და მეც მომხვდა ბეჭებში მუხთალი ისარი. მანამდე კიდეც ვიცოცხლე, კარგადაც ვითარე და სახელიც გავითქვი, მაგრამ მერე თვალის დაკარგვა და ძვირფასი ზულიაც. თუმცა შიშები და კომპლექსები მაინც ზუსტად ისეთივე აღმომაჩნდა, როგორც იმ ხელმოცარულ ბიჭს თბილისური საგიდან. და მერე მიღირდა კი ეს ყველაფერი? სტუპი, აკრძალული სიყვარული და გარდაუვალი სიკვდილი? კი, მიღირდა. რატომ? იმიტომ, რომ ესაა რომანისა და დრამის კანონზომიერება. თუ არ გაგაგია და აგაღელვა, აბა, მაშინ ეგ როგორი კარგი ნიგნია?! და ეს კი მართლაც ძალიან კარგი ნიგნია...

ლალი გულისაშვილი ერთ ლექსზე და მის ავტორზე

პარბი რამ არის გიორგი ლობჯანიძის „არაბულის მასწავლებელი“ — გამორჩეული ლექსია! ცოტა ყურანი, ცოტა ეროტიკა და ცოტა თვითმფრინავი... რა დიდებულები შრეები და პლასტებია თან!

„სიყვარული სამივე დროში...
წარსულად, აწმყო და
მომავლად არ ნაწილდება“...
„ფაყალა“ კი „კეთებას“ ნიშნავს:
„იტრიალებს „ფაყალა“ ძირი
მე და შენს შორის...“
აქ ფარული ეროტიკაა!

გიორგი ლობჯანიძემ არაჩვეულებრივად, გასაოცრად თარგმნა ყურანი, „ღვთისგან ნაბოძები ნატიფი სურებით“... სურათხმოცდამეერთე: „დაგრაგვნა“. კითხვაზე, თუ რა შეცოდებისათვის მოვიკალი, პასუხი ერთია:

„სანამ უბადრუკ წვეთად
დამათხვედი
და სანამ უბადრუკ წვეთს
დამათხვენივდი,
ყველა უბადრუკი წვეთი
შენ დამათხვენივ,
რადგან შენ შექმენი
კარაქზე უფრო რბილი საშოები,
ქვიშის ბორცვებით
მკვრივი დუნდულები“...
და რამდენად მოულოდნელია ხატი:

„ხოლო სხეულზე ისე,
როგორც ცაზე,
შენ ჩამოკიდე ვნებისაგან
სავსემთვარესავით
ნელში გადრეკილი,
ვერცხლისფრად
ავად მოლაპლაპე იატაგანი“...
ესეც ეროტიკაა!

„შენ შექმენი ჩემი ასო
და ასო წიგნისა,
რომლითაც იწერება
ყველა ენის ყოველი ნაწერი,
მათ შორის — არაბული“.


ათას ერთ რამეს ჩამოთვლის და „უავტორო ასოს დაგრძელების ათას ერთი ხერხი, არაბული“.
სურათხმოცდამეერთე — „მიმომფანტველი“:

„მთვარეიატაგანი ცაზე და
მთვარეიატაგანი — ლაჯებში“...
მეტაფორაა!
როგორი ხედვაა, თითქოს რაღაცას გვიყვება, რაღაც საიდუმლოს:
„ადამიანი — მომხმარებელი,
გამომყვებელი“...
ირონია!

11 სექტემბერს მეგონა, რომ გადაღებოდა, სიმულაციაა, ტყუილია, მაგრამ როგორ ჰგავს ნამდვილს...

„იმ (არა)ჩვეულებრივ
11 სექტემბერს,
ნიუ იორკის ცათამბჯენის
მაღალ სართულის
ერთ აივანზე ვიდექი და
სამახსოვრო სურათს ვიღებდი“...
და უცებ — თვითმფრინავი...
რა გასაკვირია, რომ ყურანი ამბობს:
„ალაჰს ეკუთვნის აღმოსავლეთიც
და დასავლეთიც
და საითაც არ მიბრუნდები,
მისი სახეა,
რადგან ალაჰი ყოვლისმომცველი,
ბრძენთა ბრძენია“.

„მთვარეიატაგანი ცაზე და მთვარეიატაგანი — ლაჯებში“...
მეტაფორაა!
როგორი ხედვაა, თითქოს რაღაცას გვიყვება, რაღაც საიდუმლოს:
„ადამიანი — მომხმარებელი,
გამომყვებელი“...
ირონია!



რამდენი რამ მოხდა... გიორგი ლობჯანიძემ სათუთად, მოფერებით თარგმნა ყურანი. ღმერთო, სადა ხარ, სად?! „შექმნა წიგნი და თვითმფრინავი, მსხვერპლი — ჯალათი“...

გიორგი ლობჯანიძემ დაამთავრა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ფლობს სპარსულ და არაბულ ენებს, მაგრამ ქართულს როგორ?! ვერავინ შეედრება, გამორჩეულია. ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევი“ თარგმნა, პირველი ნიგნი გამოვიდა, მაქვს, და მეორეც მალე გამოვა. სულ ექვსი ნიგნია. როგორც თავად აღნიშნა, „სუფიზმის ენციკლოპედიასაც“ უწოდებენ.

და მაინც, „ვიქნები შენი არაბულის მასწავლებელი“...
ვერ მივხვდი, მთარგმნელი უფროა თუ პოეტი? თუ ესეისტი?..

„ლამის ნაკანრი ხელებიდან
სისხლი გადმომჩქეფს,
ოღონდ ეს სისხლი
ჭრილობებზე ისე მომიჩანს,
თითქოს მაჯებზე დღის ვარდების
ჩრდილი მეცემა“...
ეს „ლიტერატურული გაზეთიდანაა“ — ცოტაა, მაგრამ კარგია — თავად იხუმრა.

ანდა:
„ეს ლექსი არის ისე უბრალო,
როგორც ბავშვობის
ცხელი კისელი“...
აქ „კისელს“ ერთიმეა „ითხვისელი“.
კარგია, არა?!

„ცოცხალ წიგნებში“ თავის თავზე გვიყვება გიორგი. ერთხელაც ვახუშტი კოტეტიშვილის სპარსულიდან ნათარგმნი ლექსები ნახა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ესწავლა სპარსული, რათა ორიგინალში ნაეკითხა ყოველი. მერე ნაცნობმა მიიყვანა კარლო ტაბატაძესთან და ასე დაიწყო... ბოლოს კი ჩააბარა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ყურანიც თარგმნა და როგორი ქება დაიმსახურა! და უცებ კრიტიკა... აკრიტიკებს ჯემშიდ გიუნაშვილი! თუ ასე აქეთ, წინ ვეღარ წავაო, წუხდა და, მერე აუხდა დიდი ხნის ოცნება — ჯემშიდმა ირანში წაიყვანა!..
ასე გაჩნდა „არაბულის მასწავლებელი“ — თარგმანებით, წვდებით, პოეზიით, ნატვრით, სიკეთით... კარგია გიორგი ლობჯანიძე და მისი „არაბულის მასწავლებელი“...
თვითმფრინავის ზუზუნში კი ჩანს გარდასული დრო. ნუთუ ყველაფერი ფუჭი და ამოაა?! „ამაოება ამოათა და ყოველივე ამოა... არაფერი მზის ქვეშ...“
ნუთუ?!